საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბოჭდ-ვუბი სიფფვაა, ფფუილებით და ჭიბებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 21 თებერვალი. 2020 წ. №32 (8958) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ჭკუიანი ძარიკველი

რა ცოხის კარებშივე იმუქრები, შე ცოდვიანო, შენა!

რას წერდა ბიძინა ივანიშვილი ვანო მერაბიშვილს 2011 წელს?

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა 2011 წლის 7 ოქტომბერს დააანონსა. ამის შემდეგ კი, 11 ოქტომბერს მეორე ვრცელი განცხადება გამოაქვეყნა, სადაც მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილსაც მიმართავდა.

„მინდა მივმართო მერაბიშვილს, რომელსაც ვიცნობ, როგორც კარგ მენეჯერს, კარგ ორგანიზატორს და ბევრი კარგი თვისების მქონე პიროვნებას.

მერაბიშვილმა დიდი შრომის შედეგად მოახერხა და შექმნა გამართული სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით. საპატრულო პოლიცია თუ სხვა ძალოვანი სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც ის სადამსჯელო, ჯალათური ფუნქცია რომ მოვაშოროთ, შეიძლება საზოგადოებისთვის ძალზე სასარგებლო როლი ითამაშონ.

მერაბიშვილი ხშირად მაოცებდა ხოლმე ეკონომიკის სფეროში საკმაოდ სერიოზული კომპეტენტურობით, თუმცა მეც ბევრჯერ გამიოცებია იგი ჩემი პროფესიიდან შორს მდგარი ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას.

საკმაოდ ბევრი ფაქტიდან მხოლოდ ერთს შევახსენებ ვანო მერაბიშვილს.

გახსოვს ვანო, სააკაშვილმა დიდი ხვეწნის შემდეგ რომ დამიყოლია, ბოკერიასთან მივსულიყავი, რომ მისთვის გადამეფიქრებინებინა ქვეყნისთვის ერთი ძალიან სარისკო და საბედისწერო გადაწყვეტილების მიღება.

ეს ხდებოდა 2008 წლის აგვისტომდე წელიწადნახევრით ადრე. მაშინაც იგივე სცენარი განიხილებოდა, რაც თქვენ 2008 წლის აგვისტოში განახორციელეთ.

ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ქართული ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში და იმედი ჰქონდა, რომ რუსი სამხედროები გაიწეოდნენ და ქართულ ჯარს ცხინვალში უომრად შეუშვებდნენ.

მე მაშინ შევძელი, ბოკერია დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა.

სააკაშვილთან ერთად შენც ესწრებოდი ამ შეხვედრას და მე მახსოვს შენი აღფრთოვანება, რასაც შენ გამოხატავდი ჩემი მისამართით. ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ რის გაკეთებასაც ის გეგმავდა, წმინდა წყლის პროვოკაცია და ავანტიურა იყო. ბოკერიამ უკან დაიხია და დასახულ გეგმაზე უარი თქვა, მაგრამ უცებ სააკაშვილმა თქვა: — ხომ შეიძლება თვითონ რუსებმა შემოგვთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ რა ვქნათო?

— სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებს, რომც გაჩუქოთ ეს ტერიტორია, ხელი არ ახლოთ არაფერს-მეთქი, გავაფრთხილე.

მაშინ კი შევძელი, დროებით შემეჩერებინა ის საბედისწერო გადაწყვეტილება, მაგრამ მოგვიანებით მაინც იმავე სცენარით იმოქმედეთ და რა შედეგიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში, აშკარაა.

ჩემო ვანო, ერთი ამბავიც უნდა გაგახსენო და ამით დავამთავრებ.

„ვარდების რევოლუციიდან“ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, სააკაშვილი საგანგებოდ ჩამოფრინდა ბობოყვათში ჩემთან შესახვედრად (მე იმ დროს ურეკში ვიყავი) და მითხრა, მერაბიშვილი უნდა გავუშვაო.

მე მაშინ ყველაფერი გავაკეთე, რომ სააკაშვილს შენი გაშვება გადაეფიქრებინა. მე ის დავარწმუნე, რომ შენ ბუნებით ერთგული კაცი ხარ, გონიერი ორგანიზატორი და წინდახედული მენეჯერი.

სააკაშვილმა მაშინ დამიჯერა და არც უნანია, რაც უდავოდ შენი დამსახურებაა. მე მისთვის არასოდეს არ მიმიცია ცუდი რჩევა, არც მისთვის, არც შენთვის.

ახლა კი კიდევ ერთი რჩევა უნდა მოგცე — ურჩიე სააკაშვილს, რომ დროზე გადადგეს!

იხ. 2 გვ.



ჩვენსავე ნავთობს ჩვენთვისვე ცეცხლის წასაკიდებლად იყენებენ?!.

4

„ტრამპმა სხვაგვარად გადაალაგა ჩვენი არასამთავრობოებისთვის გამოყოფილი 14-მილიონიანი ბიუჯეტი“

ლაშა ტალახაძე ზედიზედ მესამედ მსოფლიოს საუკეთესო ძალოსნად აღიარეს

ლაშა ტალახაძე საერთაშორისო ძალოსნობის ფედერაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად (17 084 ხმით) მსოფლიოს უძლიერეს ძალოსნად აღიარეს. შეგახსენებთ, რომ ჩვენი თანამემამულე პლანეტის უძლიერეს ძალოსნად ზედიზედ მესამედ დასახელდა.

„უკანასკნელ სამ არჩევნებში ცვლილება არ მომხდარა — ქართველი გიგანტი ტალახაძე ზედიზედ მესამე გამარჯვებას ზეიმობს“ — წერია ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდზე (iwf.net). ქალებს შორის ხმათა უმრავლესობით საუკეთესო ძალოსანი ამერიკელი **ქეთრინ ელიზაბეტი** გახდა.

ვისაც ვუყვარდი, მე ახლაც მიყვარს!..

ზოთა ზოიძე

მე გავიტანე თბილისში ბათუმის პოეზია...

7



შეჩერდი, შენ ისევ უფსკრულის პირას დგახარ!

რა ციხის კარებშივე იმუქრები, შე ცოდვიანო, შენა!

(პირველი გვერდიდან)

სააკაშვილი დაიღალა, გამოიფიტა და ქვეყანაც და საკუთარ თავსაც უფსკრულისკენ მიაქანებს, შენ და შენი მასწავლებელი ადეიშვილი კი მას დათვურ სამსახურს უწევთ და ძალაუფლებას უნარჩუნებთ.

ეს არ არის გამოსავალი, ეს არ შეიძლება, მარადიულად გაგრძელდეს და ასე, ძალისმიერი მეთოდებით ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობა ერთ საბედისწერო დღეს შეიძლება დიდი კატასტროფით დამთავრდეს.

ურჩიე სააკაშვილს, რომ გადადგეს! ეს არის ერთადერთი შანსი, რომ მას საკუთარ ქვეყანაში ცხოვრების საშუალება მიეცეს.

თუ სააკაშვილი შენს რჩევას ყურად არ იღებს, მაშინ შენ თვითონ გადადექი, რადგან შენთვისაც ეს ყველაზე საუკეთესო გამოსავალია და ამით შენ დარჩები საქართველოში საპატივცემულო და ღირსეულ ადამიანად.

მანამდე კი ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, ვანო!

ვიცი, მთელი მთავრობა, მთელი სახელისუფლო გუნდი გაოგნებული ხართ, თუ რატომ გაიგეთ ასე დაგვიანებით ინფორმაცია ჩემი პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილების შესახებ.

საქმე ის არის, მე ვისარგებლე ჩემს ორგანიზაციაში თქვენ მიერ „დავერბოვკებული“ თქვენი აგენტის უფასო „მომსახურებით“, რომელსაც დროდადრო ვარწმუნებდი, რომ პოლიტიკაში არასოდეს არ მოვიდოდი, რომ ეს სფერო საერთოდ არ მქონდა უზურში. მალე საქართველოსაც დავტოვებდი. თქვენი აგენტიც იჯერებდა ჩემს ნათქვამს და მერე თქვენც გარწმუნებდათ, რომ ჩემი მხრიდან პოლიტიკაში მოსვლა გამორიცხული იყო. თქვენც მშვიდად და არხეინად ბრძანდებოდით, ამიტომაც იყო თავზარდამცემი ჩემი განცხადება თქვენთვის.

თქვენ ეს ადამიანი ახლა კი არა, სამი წლის წინათ გადაიბირეთ, ანუ მაშინ, როცა ჩვენს შორის ჯერ კიდევ ნორმალური ურთიერთობა იყო.

ასეთები ხართ თქვენ. ასეთი ზნე გაქვთ — დანდობა და სიყვარული არ იცით!

თქვენმა აგენტმა ჯერ არ იცის, რომ გაშიფრულია.

ის ამას დღეს გაზეთებიდან გაიგებს.

ის კარგი ფინანსისტია, წაიყვანეთ, გამოგადგებათ.

„ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტზე გიგა ჩრდილელზე ვლაპარაკობდი...

თქვენთვის ამის გაგება დიდი დარტყმა იქნება, მაგრამ გაფრთხილებთ, ყველა თქვენი მცდელობა ჩვენ გარშემო ჯაშუშური ქსელის ხლართვისა, ზუსტად ისეთი კრახით დამთავრდება, როგორც ეს დამთავრდა.

2008 წლის წაგებული ომიდან ორი-სამი თვის შემდეგ, როცა ქვეყანას დიდი არეულობა და ქაოსი ემუქრებოდა, მე თვითონ გავუგზავნე წერილი მიხეილ სააკაშვილს და ვურჩიე გადამდგარიყო.

ქართველი ხალხი სულგრძელი, მიმტევებელი ხალხია და გაპატიებს, რაც შეგეშალა. გადადგომა შენ საშუალებას მოგცემს, არა მარტო გააგრძელო შენს ქვეყანაში ცხოვრება, არამედ გააგრძელო პოლიტიკური საქმიანობაც — ვწერდი სააკაშვილს.

მიშა, შენ ის მიშა ხარ, ხელისუფლებაში რომ მოხვედი და აღმაშენებლის საფლავზე დაიფიცე, რითაც საქართველოს მიანიშნე, რომ აღმაშენებლობას აპირებდი, მაგრამ დრო გავიდა და აღმაშენებლის ნაცვლად ბრეჟნევს დაემსგავსე, ბრეჟნევის ეპოქას მიუახლოვდი.

ამის დასტურია თუნდაც შენი ბოლო შეხვედრა თელაველებთან, სადაც დაქირავებული ტაშის დამკვრელები კახელების სახელით გიკრავდნენ ტაშს და — მიშა! მიშას! გაჰყვიროდნენ.

შენ და შენი გუნდი ქართველი კაცისთვის წმინდათაწმინდას, ეკლესიასაც კი შეეხეთ და მხცოვანი პატრიარქი, ეს ბრძენი ადამიანი უკიდურესად მძიმე ვითარებაში ჩააყენეთ.

იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდით პატრიარქს, ეკლესიის შიგნით სულმოკლე ადამიანების ძებნა და მათი მოქრთამვა და მოსყიდვა დაიწყეთ.

შეჩერდი, მიშა, შენ უფსკრულის პირას დგახარ და შეჩერდი!

მე შენთვის არასოდეს მომიცია ჩემი პირადი მიზნებით ნაკარნახევი რჩევა და ახლაც ჩემი კი არა შენი მიზნებიდან გამომდინარე გეუბნები ამას — გადადექი!“, — წერდა ბიძინა ივანიშვილი 2011 წლის 12 ოქტომბერს.

მოამზადა „კომერსანტმა“



რედაქციისგან:

ადამიანი რომ ბუნებით ხშირად უმადური და დაუნახავია, რაც დიდად სამწუხაროა, კიდევ ერთხელ გაგვხადა ამის მოწმენი ციხიდან გამოსვლისას იქვე ციხის კარებთან თავისი უმძიმესი ცოდვების გამო სამართლიანად სასჯელმოხდილმა ვანო მერაბიშვილმა, რომელსაც ჯერაც სასჯელმოუხდელმა მთავარმა დამნაშავემ სააკაშვილმა „გაუტეხელი“ იმიტომ უწოდა, რაკი, როგორც ყურმოჭრილმა ყმამ ვანომ დაინდო ეს ვაიპრეზიდენტი და გვერდით არ მოისვა მატროსოვზე...

ამ ჩვენმა ეგრეთ წოდებულმა „გაუტეხელმა“ ვანომ, იმის მაგივრად, რომ მოებოდიშებინა და მოენანიებინა თავისი არაკაცური წარსული, როგორც ჩანს, ჭკუა მაინც ვერ ისწავლა და იმ ადამიანის ლანძღვა დაიწყო, ვისი რჩევის დაჯერების შემთხვევაშიც მთელ ამ თითქმის შვიდწლიან ციხის კედლების ლესვას გადაურჩებოდა. მაგრამ მართალი უთქვამს ძველ ხალხს, ყორნის გათეთრება შეუძლებელი რომ არის, თუნდაც ქვაშითაც და მიშითაც ერთდრულად იყოს ნახეხი.

ვანოს მუქარიან ლაპარაკში ეტყობა, რომ უკვე ისეა მიჩვეული მატროსოვის სამარტოო საკანს, რომ ციხისკენ მიმავალი პოლიტიკური გზიდან არ გადაუხვევს. არადა, ზოგიერთ ბნელ საქმეზე ძიება ჯერ კიდევ წინა აქვს...

რაც შევიდა, ისევ ის ბრიყვი გამოვიდა!

20 თებერვალს, ხუთშაბათ დილით, ტელეარხებზე ისეთი გნიასი იყო, იფიქრებდი, მეორედ მოსვლა იწყებაო. მაშ, როგორ — მატროსოვის ციხის გისოსებს თავი დააღწია ოპოზიციის ყოვლისმომცველმა იმედმა, „ოცნებისგან“ ქვეყნის ხსნის გარანტმა ვანუა (ვანო) მერაბიშვილმა!

თითქმის 7 წლით ჯდომის შემდეგ ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და ექსპრემიერ-მინისტრმა ციხე დატოვა. ეგ არის, ჭაღარა მოსძალებია, თორემ ისევ ისეთი საღსალამათია, როგორიც შევიდა: ფიქრსა და აზროვნებას გაუკარებელი შუბლი, რომელიც კეფას ისე უერთდება, ვერ გაიგებ, სად თავდება პირველი და სად იწყება მეორე...

ერთ წელიწადში ამ ხელისუფლებას ბოლოს მოვუღებთო, მე ამის გარანტი ვარო, უთხრა გარსმოჯარულ ჟურნალისტებს, რომლებსაც, კაცმა რომ თქვას, სულაც ფეხებზე ეკიდათ ვანუას გარანტიები, ალბათ იმიტომ, რომ კარგად უწყოდნენ ამ გარანტიების რეალური ფასი. მხოლოდ ეს აინტერესებდათ. ორად გახლეჩილი ნაცმოძრაობიდან რომელს შეუერთდებოდა ბელად სააკაშვილის მიერ ოდესღაც რევოლუციური მოძრაობის ხერხემლად სახელდებული მერაბიშვილი.

ვერ ათქმევინეს, ეყო იმდენი ჭკუა. დავისვენებ, მოვიფიქრებ და მერე გეტყვითო. საქმე ის არის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ „ევროპული საქართველოს“ სახელით ცნობილი მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოცილების შემდეგ, დღესდღეობით შავ დღეშია. ლიდერები არ ჰყოფნის, გრიგოლ ვაშაძის, ნიკანორ მელიას, რომან გოცირიძის და თინა ბოკუჩავას ამარა დარჩენილს. იმათ იმედად კი მტერი იყოს! ახლა უარესი სჭირთ. სრულიად საქართველოს დიდმა ბელადმა მიშა სააკაშვილმა 1 მარტიდან ნაცმოძრაობის ახალი შტაბის (ბიბლიოთეკაში) დაფუძნება გადაწყვიტა ხელისუფლებაზე შეტევის სახელმძღვანელოდ, რამაც დიდი არევ-დარევა გამოიწვია არსებულ, ისედაც უაზროდ ფორიაქა მოძრაობაში... ვითომ მათ შეუერთდება ციხეში გამოწრთობილი ყოფილი „პოლიტპატიმარი“?

რაც შეეხება „ევროპულ საქართველოს“, ანუ „ევრონაცებს“, არც იქ არის საქმე დალაგებული. იქაც დიდი მღელვარებაა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკიდან დამიზნებული გაურკვევლობის გამო. ამ პარტიას ვანუა მერაბიშვილი, როგორც „ტვინიკოსი“ არ სჭირდება, უტვინო ტვინიკოსები თავისიც ჰყოფნის, მაგრამ „ავტორიტეტული“ რევოლუციონერის, „დიდი პრაქტიკოსის“ მოწინააღმდეგისთვის დათმობაც არ უნდათ, თუნდაც სააკაშვილის საპირწონედ.

ალბათ სწორედ ამიტომ დახვდნენ ციხიდან გამოსულს ევრონაცები უხვად. ეს თვალში საცემი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ დამხვდურებში ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს წამლად ვერ ნახავდით...

ასე თუ ისე, ციხიდან გამოვიდა „დიდი მოღვაწე“ და „დიდი წამებული“. საით წავა, რომელ პოლიტიკურ გზაშარას დაადგება (და საბოლოოდ სად წაიმტვრევს კისერს), მალე გამოჩნდება. თუმცა თუ მისი პირველივე განცხადებებით ვიგუმანებთ („გარანტი ვარ, წლის ბოლომდე ამ ხელისუფლებას დავამხობთ!..) გონებრივი თვალსაზრისით არავითარი პროგრესი არ განუცდია, რაც შევიდა, ისევ ის ბრიყვი გამოვიდა...

სანდრო ალექსიძე

ვანო მერაბიშვილი „გაათავისუფლეს“ და რამდენიმე წუთში „მინაში ჩადეს“!

თითქმის 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი გუშინ გაათავისუფლეს.

ვანო მერაბიშვილი, რომელსაც 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლამდე პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა, მანამდე კი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, 2013 წლის 21 მაისს დააკავეს. საერთო სასამართლოებში მერაბიშვილის მიმართ განხილული საქმეები და სასჯელის ვადები ასე გამოიყურება:

1.„აკურას“ ღვინის ქარხნის უკანონოდ ჩამორთმევის საქმე — 2 წელი და 3 თვე;
2. სანდრო გირგვლიანის საქმეზე მტკიცებულებების გადამალვა — 3 წელი;
3. აქციის დარბევა 2011 წლის 26 მაისს — 4 წელი და 6 თვე;
4. მითვისება გაფლანგვა და ამომრჩევლის მოსყიდვა — 5 წელი;
5. ვალერი გელაშვილზე ფიზიკური ანგარიშსწორება — 6 წელი და 9 თვე.

სასჯელის შთანთქმის პრინციპით, ვანო მერაბიშვილს სასჯელის საბოლოო სახედ 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მერაბიშვილმა სასჯელის შემცირების მიზნით, არაერთხელ მიმართა უდოს კომისიას, თუმცა უწყებამ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მიმართვა არ დააკმაყოფილა.

გიორგი გახარია: დამხობის მცდელობა რამდენჯერმე ჰქონდათ და არც ერთხელ არ გამოუვიდათ

— არ მინდოდა, დღეს ამ თემაზე მელაპარაკა, მაგრამ დასტურდება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის გუშინდელი დღე. ხვალიდნელ დღეზე უნდა ვიფიქროთ და ვიშრომოთ იმისთვის, რომ ეს ქვეყანა იყოს არა დამხობების, არამედ ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების ქვეყანა. დავასრულებ და შევცვლიო კი არ უთქვამს, დავამხობო!

ჩვენ ვიყურებით წინ. დამხობის მცდელობა რამდენჯერმე ჰქონდათ და არც ერთხელ გამოუვიდათ და არც აწი გამოუვათ. ჩვენი მიზანი არის ხვალინდელი დღე, ძლიერი საქართველო, რომელიც არის შესაძლებლობების და არა გადატრიალებების, დამხობების და უბედურებების ქვეყანა, რომელიც წარსულში დავტოვეთ, — განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი გახარიამ.

* * *

ჩვენ უნდა ვაკეთოთ და ვიშრომოთ იმისთვის, რომ ეს ქვეყანა იყოს არა გამოწვევების და დამხობების ქვეყანა, არამედ შესაძლებლობების ქვეყანა ახალგაზრდობისთვის, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ვანო მერაბიშვილის განცხადებასთან დაკავშრებით ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ხელისუფლების მიზანია, მომავალი, ძლიერი საქართველო, რომელიც არის შესაძლებლობების და არა გადატრიალებების ქვეყანა.

კახა კალაძე: დროსა და სივრცეშია დაკარგული, მეტი ვანო ოპოზიციას!

„მეტი ვანო ოპოზიციას“, — თბილისის მერმა კახა კალაძემ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ გაკეთებული განცხადებები შეაფასა. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა,

გიორგი გახარიას საქმიანი შეხვედრები

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ბრიტანული მულტინაციონალური ნავთობისა და გაზის კომპანია British Petroleum-ის რეგიონულ პრეზიდენტს აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში, გარი ჯონსს შეხვდა.

მხარეებმა BP-ის მიერ საქართველოში განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებსა და, კორპორაციის ახალი ხელმძღვანელის პირობებში, განახლებული მისიით, სტრატეგიული თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

ყურადღება გამახვილდა ქვეყანაში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოსა და ბრიტანული კომპანიის მრავალწლიან წარმატებულ თანამშრომლობაზე საქართველოსთან.

გარი ჯონსმა გიორგი გახარიასთან შეხვედრისას ყურადღება დაუთმო სამხრეთ კავკასიური მილსადენის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობასა და პროექტის განვითარების მიმდინარე ფაზის, „შაჰ დენიზის“ ძირითადი ნაწილის დასრულებას, რაც მიმდინარე წლის ბოლოს შესაძლებელს გახდის, რომ კავკასიიდან ბუნებრივი აირის პირველი ნაკადი მიეწოდოს ევროპას საქართველოს გავლით.

ბრიტანული კომპანია BP საქართველოში პირველად 1996 წელს შემოვიდა და ამჟამად ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტორია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ბექა ლილუაშვილი ესწრებოდა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“, ოფიციალურ გვერდზე ეხმაურება.

მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ ქრისტოფერ სოჩასთან კონსტრუქციული შეხვედრა შედგა.

„მქონდა პატივი, შევხვედროდი ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელს. ჩვენ განვიხილეთ აშშ-ის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტის და ევროატლანტიკური მისწრაფებების მტკიცე მხარდაჭერა, ასევე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის საკითხები. გარდა ამისა, გვქონდა კონსტრუქციული დიალოგი საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისკენ მიმართულ მიმდინარე ძალისხმევასთან დაკავშირებით“, — წერს გიორგი გახარია „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე.

რა შემთხვევაში დაელაპარაკება მარგველაშვილი ივანიშვილს

„თუ ივანიშვილი დამირეკავს და მეტყვის, „ეს რა დაგვემართა, ვერ გავაოცეთ ევროპა დემოკრატიით და აბა როგორ მივიღოთ კარგი საარჩევნო სისტემა, როგორ გადავიდეთ პროპორციულ სისტემაზე“, არა მარტო დაველაპარაკები, იმ „აჯანყებულ“ დეპუტატებს, რომლებმაც ივანიშვილსაც უარი უთხრეს, — დასავლეთსაც, „ქართულ ოცნებასაც“ ზურგი აქციეს და საერთოდ ცივილიზაციის წინააღმდეგ წავიდნენ, სათითაოდ დავივლი და ვთხოვ, „ნუ დაღუპავთ ქვეყანას, თქვენს თავს და მიეცით ქვეყანას პროპორციული საარჩევნო სისტემა“. განაცხადა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში კითხვის საპასუხოდ, დაელაპარაკება თუ არა ივანიშვილს, მის მიერ მსგავსი სურვილის გამოთქმის შემთხვევაში.

პრეზიდენტს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ახალი მრჩეველი ჰყავს

პრეზიდენტმა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლად გელა გიორგაძე დანიშნა, რომელიც მოვალეობის შესრულებას გუშინ შეუდგა.

გელა გიორგაძე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში 1994-1998 წლებში სწავლობდა. მიღებული აქვს ისტორიის მასწავლებლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ხოლო 2000-2005 წლებში სწავლობდა ჰელმუტ შმიდტის უნივერსიტეტში (ბუნდესვერის სამხედრო უნივერსიტეტი), მიღებული აქვს პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

მერაბიშვილი დროსა და სივრცეშია დაკარგული და რეალობაში გარკვევა სჭირდება. „მისი განცხადებებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ დროსა და სივრცეშია დაკარგული. ვაცადოთ, ჩაეხუტოს ოჯახს, გაერკვეს, რა რეალობაა, რა ხდება და შემდეგ მოვისმინოთ. მეტი ვანო ოპოზიციას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თეა წულუკიანი: რადგან ვანო მერაბიშვილი უკვე თავისუფალია, ახლა ეს უნდა ვთქვა...

ვანო მერაბიშვილმა სასჯელი სრულად მოიხადა. რაკი დღეს ის უკვე სრულად თავისუფალია, მინდა მწვავედ შევაფასო საერთაშორისო დონეზე მისი ადვოკატების საქმიანობა, რომლებიც კვირა ერთი იყო და რამდენჯერმე პატიმარს ტელევიზიის მეშვეობით უთვლიდნენ ტყუილებს, ეუბნებოდნენ, რომ შენ გაღიარეს პოლიტპატიმრად, რაც იყო სიცრუე!

„მას შემდეგ, რაც პენიტენციური სისტემა ისუტიციის სისტემას შეუერთდა, ვარ მოწმე, როგორ იქცევიან პატიმართან მიმართებაში, როდესაც მას ატყუებენ, რომ მინისტრთა კომიტეტი გაგათავისუფლებს, ევროსაბჭო გაგათავისუფლებს, მერაბიშვილს, ბატონი ბოკერიადან დაწყებული, მისი პარტიის წევრებით გაგრძელებული, რომლებიც ადვოკატის სტატუსით ბევრ ტყუილს ეუბნებოდნენ, ის გათავისუფლდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სასჯელი სრულად მოიხადა“, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: თავად არის დამხობილი და დამხობილ ადამიანზე არ მინდა საუბარი!

— ჩვენს მოქალაქეებს ახსოვთ, როგორც ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იმ ბოროტი დანაშაულებრივი სისტემისა, რომელიც მან შექმნა სააკაშვილთან, ბოკერიასთან ერთად. ეს კრიმინალი და ერთ-ერთი სახე ამ გარყვნილი, ბინძური სისტემის, რომელიც მათ შექმნეს წლების განმავლობაში და ისინი მართავდნენ იმ დანაშაულებრივი რეჟიმით, დღეს რომ კიდევ ბედავს ასეთი განცხადების გაკეთებას, რა თქმა უნდა, ეს არის ღიმილის მომგვრელი. ის თავად არის დამხობილი და არ მინდა, დამხობილ ადამიანზე ვისაუბრო ამდენი, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

თორნიკე მოლაშვილი: ამ ჩლუნგს სამუდამო პატიმრობა უნდა ჰქონდეს მისჯილი!

„ქართველი ერის უდიდესი სირცხვილია, რომ მკვლელ, ყაჩაღ, მძარცველ ბოროტმოქმედს, რომელიც ქონებას ართმევდა ადამიანებს და გვამების შეკვეთას აძლევდა ხალხს, ტაშის კვრით ხვდებიან“, — ასე ეხმაურება კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ძმა, ყოფილი პოლიტპატიმარი თორნიკე მოლაშვილი შინაგან საქმეთა ექსმინისტრის ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებას. როგორც „2020NEWS“-თან თორნიკე მოლაშვილმა განაცხადა, **ის, რაც დღეს მერაბიშვილის გათავისუფლების შემდეგ მოხდა, ანუ „მატროსოვის ციხიდან“ გამოსულ „ბოროტმოქმედ“ მინისტრს ბელადივით რომ შეხვდნენ, ქართველი ხალხის უდიდესი სირცხვილია. მკვლელებს ტაშის კვრით მხოლოდ რუსეთში ხვდებიან! სად გინახავთ ევროპასა და ამერიკაში მკვლელებს ასე სიხარულით დახვედროდნენ ციხესთან?! არადა, ევროპელობა გვინდა. საქართველოს სირცხვილია, დღეს რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში“** — განაცხადა მოლაშვილმა.

თორნიკე მოლაშვილის თქმითვე, **ვანო მერაბიშვილი თავისი ჩადენილი დანაშაულებებისათვის მინიმუმ სამუდამო პატიმრობას იმსახურებდა. „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“, ესენი ხომ ერთი სისხლის არიან, რა თქმა უნდა, გახარებულები იქნებიან მისი გათავისუფლებით, რადგან რამდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი და 5%-ითაც არ უგიათ პასუხი. ყველაფერი შერჩათ.**

ამ გონებაჩლუნგმა რა პოლიტიკური განცხადებები უნდა გააკეთოს, არ ვიცი, ან ვის უნდა დაემუქროს?!

მისთვის მინიმუმ, სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯათ და ისევ ციხეში უნდა იყოს, მაგრამ გმირად გამოიყვანეს, იმის ნაცვლად, რომ ციხიდან გაეპარებინათ სახლში — ჩუმად, ტაშის კვრით, როგორც ბელადს, ისე დახვდნენ! ეს ჩლუნგი კიდევ აქეთ იმუქრება, დაგამხობთო! — ეს გონებაჩლუნგი ან შინაგან საქმეთა მინისტრი როგორ გახდა, ან პრემიერი? გაუნათლებელი, ტლუ. რა დანაშაულებიც ვანო მერაბიშვილს აქვს ჩადენილი, რამდენი უდანაშაულო ადამიანი ჰყავს გამწარებული, რამდენი ადამიანისთვის ქონება აქვს წართმეული და ამის 1% მაინც, რომ მჯდარიყო ციხეში, სამუდამო პატიმრობა ექნებოდა ახლა მისჯილი, მაგრამ არა, ციხიდან უშვებენ და ტაშით ხვდებიან“, — განაცხადა ყოფილმა პოლიტპატიმარმა.

ნუკრი ქანთარია: ვანო მერაბიშვილი არის კალენდრიდან ამოხეული ფურცელი

„ორი გვამის პატრონი პოლიტიკაში ისე აქტიურად მობრუნდეს, რომ მან ამ მუქარასა თუ დანაქადნებს ოდნავ მაინც მისცეს ბიძგი, არის აბსოლუტურად გამორიცხული“, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ ჟურნალისტებს ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით განუცხადა.

„ვანო მერაბიშვილი არის კალენდრიდან ამოხეული ფურცელი. თუ რომელიმე პარტია სიმბოლურად დაიკიდებს, ეს მათი საქმე და მათი გადასაწყვეტია, დანარჩენი ეს ყველაფერი არის ბლეფი იმიტომ, რომ ორი გვამის პატრონი პოლიტიკაში ისე აქტიურად მობრუნდეს, რომ მან ამ მუქარასა თუ დანაქადნებს ოდნავ მაინც მისცეს ბიძგი, არის აბსოლუტურად გამორიცხული“, — განუცხადა ჟურნალისტებს ნუკრი ქანთარიამ.

ანრი ოხანაშვილი: მერაბიშვილს პასუხს გასცემენ ისინი, ვინც მან გააუბედურა

ივანე მერაბიშვილი **არის მსჯავრდადებული და მხილებული უმძიმესი დანაშაულების ჩადენაში. ეს ადამიანი არის და ნათლად გამოჩნდა დღესაც, ისევ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ადამიანი,** — ამის შესახებ „ქრონიკასთან“ საუბარში პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანრი ოხანაშვილმა განაცხადა.

„კიდევ ერთი კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ლიდერი შეუერთდა იმ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ლიდერების ჯგუფს, რომელსაც წარმოადგენს ნაცმოძრაობა, თავის სატელიტ პარტიებთან ერთად. მერაბიშვილს პასუხს გასცემენ სისტემური დანაშაულის მსხვერპლი ის ადამიანები, ვინც მან გააუბედურა და უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინა. კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ადამიანებს ქართულ პოლიტიკაში ადგილი არა აქვს“, — განაცხადა ოხანაშვილმა.

2019 წლის ოქტომბერში საქართველოში კიბერშეტევა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბმა განახორციელა

— ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადეს.

„2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში განხორციელდა ფართომასშტაბიანი კიბერშეტევა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სასამართლო სისტემის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოების, სახელმწიფო, კომერციული და მედია ორგანიზაციების ვებგვერდებზე, სერვერებსა და სხვა მართვით სისტემებზე. კიბერშეტევის შედეგად დაზიანდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციების სერვერები, მართვითი სისტემები და მნიშვნელოვნად შეფერხდა მათი ფუნქციონირება. აღნიშნული კიბერშეტევა მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას“.

გაგუას კლინიკამ საერთაშორისო სერტიფიცირება წარმატებით გაიარა

გაგუას კლინიკამ გერმანული აუდიტორული კომპანია „კა ტე ქიუ ინტერნეიშენელის“ სერტიფიცირება — „საავადმყოფოს სამედიცინო ხარისხის და გამჭვირვალობის“ შესახებ წარმატებით გაიარა. აღნიშნულთან დაკავშირებით ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე სამედიცინო დაწესებულებას ეწვია და წარმატება პირადად მიულოცა.

შემოწმების პროცესი რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. კლინიკა, კომპანის ექსპერტების მიერ, 55 კატეგორიის შესაბამისად შეფასდა, რამაც გაგუას კლინიკაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის ევროპულ სტანდარტთან შესაბამისობა დაადგინა.

სტუ-ს სტუდენტი გაერის გენერალური დირექტორის აპარატში სტაჟირებას გაივლის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა გიორგი გელიტაშვილმა შერჩევის პროცედურა წარმატებით გაიარა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟენევის ოფისში, გენერალური დირექტორის აპარატში სტაჟირებას გაივლის.

გიორგი გელიტაშვილისთვის სტაჟირების პროცესი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერნაციონალურ გარემოში საქმიანობის საუკეთესო შესაძლებლობაა. გარდა ამისა, მისთვის ეს არის საერთაშორისო ექსპერტებთან, მაღალი რანგის პროფესიონალებსა და ლიდერებთან მუშაობისა თუ გამოცდილების გაზიარების რეალური საშუალება.

ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი მაგისტრის ხარისხს საჯარო მმართველობის სფეროში დაიცავს.

უგულავას დაკავებაში ხელისუფლების ხეირს ვერ ხედავს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს განვითარების ლაბორატორიის“ ხელმძღვანელი ირაკლი გოგავა. მისი განცხადებით, საკაშვილი, რომელიც გამოეყო ოპოზიციას, ცალკე მუშაობს სახელმწიფო გადატრიალების სცენარზე, რადგან კარგად იცის, რომ სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში, ხელისუფლებაში ვერ მოვა. „მას აქვს ერთი გზა — სახელმწიფო გადატრიალების გზა“.

დღეს ირაკლი გოგავა ჩვენი გაზეთის რესპონდენტია.

ჩვენსავე ნავთობს ჩვენთვისვე ცეცხლის წასაკიდებლად იყენებენ?!..

„ტრამპმა სხვაგვარად გადაალაგა ჩვენი არასამთავრობოებისთვის გამოყოფილი 14-მილიონიანი ბიუჯეტი“

— გიგი უგულავა ციხეში შეაბრუნეს; ნიკა მელიას 7-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება; ევროკომისიიდან ჩამოდის სსაგანგებო ჯგუფი, რომელიც უგულავას დაკავების კანონიერებას შეისწავლის. ეს ყველაფერი ხდება წინასაარჩევნო დროს და სწორედ ამან გააჩინა კითხვები ხელისუფლების მისამართით — ხომ არ დაიწყო ოპოზიციის მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება?

— ქართველები ისე ვართ მოწყობილი, ისეთი ხასიათი გვაქვს, რომ არავის ციხეში ყოფნა არ გვიხარია. მე არ ვიცნობ ამ საქმის დეტალებს და სამართლებრივ შეფასებას ნამდვილად ვერ მივცემ, თუმცა აშშ-ში, ევროპაში გაჩნდა კითხვები დროსთან დაკავშირებით — რა დროსაც მოხდა უგულავას დაკავება. ვფიქრობ, ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი და ეს ხელისუფლების ვალდებულებაა. თუ გადაწყვიტილია, რომ მოიწვიონ ევროპიდან წარმოადგენლობითი დელეგაცია, ეს ცუდი არ უნდა იყოს, რადგან ამ საქმეში საჭიროა მეტი გამჭვირვალობა. საკუთრივ, ხელისუფლების ხეირს უგულავას დაკავებაში ვერ ვხედავ. დაშინების და ტერორის პოლიტიკა რომ იყოს, მაშინ მედიასაც გააჩერებდნენ.

— რამდენად შეიძლება, თავად უგულავა განვიხილოთ იმ ფიგურად, რომლის განეიტრალებაც ფორას მისცემს ხელისუფლებას?

— ვერ გეტყვით, უგულავას რა გავლენა ჰქონდა შიგნით, ოპოზიციურ დაჯგუფებაში, თუმცა ცნობადი ფიგურაა და არჩევნებამდე 8 თვით ადრე, ჯობია, რომ მსგავსი რამ არ ხდებოდეს. საჭიროა, მეტი გამჭვირვალობა. ვფიქრობ, სწორია ევროპელი კოლეგების ჩამოყვანა. თუ ამერიკელებსაც მიაწვდიან იგივე ფორმით ინფორმაციას, ეს ცუდი არ იქნება.

— ხელისუფლება ხომ არ კარგავს ნდობას საზოგადოებაში, როდესაც დაკავების კანონიერების შესასწავლად საგანგებო მისია ჩამოჰყავს ევროპიდან?

— ასე არ დავარქმევდი ამ საქმეს — საასამართლოა, ძიებაა, პროკურატურაა... საქართველოში სტრუქტურები მუშაობენ, მაგრამ ევროპელების ჩამოსვლა, უფრო გაცნობითი ხასიათის არის და არა კონტროლის. ისინი ძიებას ხომ ვერ ჩაატარებენ? ასეა თუ ისე, სუვერენული სახელმწიფო გვქვია.

— პირველი და მეორე ინსტანციის საასამართლომ უგულავას წელიწადი და 3 თვე შეუფარდა იმ საქმეზე, რა საქმეზეც უზენაესმა სასამართლომ 3 წლით პატიმრობა შეუფარდა. საქმე ეხება ბიუჯეტის გაფლანგვის საქმეს, რაც ყველა ქვეყანაში მძიმე დანაშაულია. ამდენად, ხომ არ ფიქრობთ, ევროპელების მხრიდან, კითხვის ნიშნები საქართველოს ხელისუფლების მიმართ დაისვას — თავის დროზე, პოლიტიკური მოტივებით ხომ არ მოხდა უგულავას განთავისუფლება, ან ახლა, სასჯელი ხომ არ მოეჩვენებათ არადეკვატური იმ ბრალდებასთან დაკავშირებით, რა ბრალდებითაც დააკავეს?

— საქმე ისაა, რომ ეს პოლიტიკური ძალები, ტელევიზორში ერთმანეთს რომ ლანძღავენ, კულისებს მიღმა ყველა ყველასთან საუბრობს და ეს ფაქტია. მე არ ვფლობ ინფორმაციას, მიმდინარეობდა თუ არა ამ ე.წ. დაპირისპირებულ ძალებს შორის რაიმე საუბრები თავის დროზე უგულავას განთავისუფლებასთან დაკავშირებით და იყო თუ არა პოლიტიკური გადაწყვეტილება უგულავას განთავისუფლება. გამიჭირდება ამ თემაზე კომენტარის გაკეთება. ყველაფერი შეიძლება ვიფიქროთ, თუმცა ამ ინფორმაციას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ.

— ამავე კითხვის კონტექსტში შეიძლება დავსვათ კითხვა, ხომ არ იყო უგულავას თემასთან ბმაში „ნაციონალური მოძრაობის“ გაყოფა, პროპორციული არჩევნების თემა და ა.შ. თუ კარგად დავაკვირდებით პროცესების განვითარებას, რჩება შთაბეჭდილება, რომ თავის დროზე რაღაცაზე გარიგდა ხელისუფლება და ოპოზიცია, უფრო სწორად, „ევროპული საქართველო“, მაგრამ შემდეგ ვიღაცამ საკუთარი ვალდებულებები ვერ შეასრულა. არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში პროპორციული არჩევნების თემა თითიდან გამოწოვილია და დაპირისპირების მიზეზი უფრო ღრმაა?

— თავიდან, 2015 წლიდან შედგა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ლიბერალური ძალები წარმოდგენილი ყოფილიყვნენ მომავალ ხელისუფლებებში, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ლიბერალებს არა აქვთ დიდი მხარდაჭერა ხალხში. შესაბამისად, მათ დაიწყეს ფიქრი იმაზე, რა მოდელი მოეფიქრებინათ და როგორ მოეყვანათ ხელისუფლებში ან კოალიციურ უმრავლესობაში ეს ადამიანები. მარტო ხელისუფლებას არა აქვს პრობლემა, პრობლემა აქვს ოპოზიციასაც. ფაქტობრივად, ოპოზიცია დაჭაობდა, ათეული წლებია, განახლება არ მომხდარა და შესაბამისად მათ აქვთ პრობლემა, რომ ელემენტარულად მაჟორიტარული არჩევნები სადმე მოიგონ. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ვერსად ვერ მოიგებენ მაჟორიტარები. ამიტომ გადაწყდა, რომ შემოეგდოთ პროპორციული არჩევნების თემა, ვინაიდან აქ უფრო მარტივია არაპოპულარული ადამიანების გაყვანა პარლამენტში, შემდეგ უმრავლესობის ჩამოყალიბება და რაღაცა მანდატების მიღება.

— დაახლოებით იგივე სცენარი, როგორც 2012 წელს წარმოადგინა „ქართულმა ოცნებამ“ და დიდი კოალიცია შევიდა პარლამენტში?

— რა თქმა უნდა. ბევრი პარტია და მათ შორის არაპოპულარული, 1%-იანი პარტიები შევიდნენ პარლამენტში და მინისტრის თანამდებობები მიიღეს. მსგავსი რამ ქმნის არაურყევობას საზოგადოებაში, ვინაიდან ასეთი ჯგუფები და ძალები არ წარმოადგენენ მოსახლეობის დიდი ნაწილის მიზნებს. ეს ასეა ყველგან და არა მარტო საქართველოში. ახლაც იმავეს მცდელობა იყო, თუმცა, როგორც ჩანს, „ოცნების“ ხელისუფლებამ გადაიფიქრა და დატოვა შერეული სისტემა.

— ლიბერალურ ძალებზე როცა საუბრობთ, ალბათ, „ევროპულ საქართველოს“ გულისხმობთ. მათი პარლამენტში შეყვანის მცდელობა „ოცნების“ თაოსნობა იყო თუ დასავლეთიდან მოდიოდა რჩევა?



— რა თქმა უნდა, მედიატორები იყვნენ დასავლეთის ლიბერალური და გლობალისტური წრეები, რომელთაც დიდი ხანია გავლენები აქვთ საქართველოშიც, უკრაინაშიც და აშშ-შიც. თუმცა, 2016 წელს ტრამპის მოსვლის შემდეგ, ეს შეიცვალა, ნელ-ნელა, პლანეტარული მასშტაბით ხდება ამ ლიბერალური გავლენის ჯგუფების შევიწროება და პირველ რიგში — აშშ-ში. ტრამპმა დაიწყო დიდი წმენდა. პირველ რიგში, ეს შეეხო უშიშროების საბჭოს — დაითხოვა ის ხალხი, ვინც კლინტონის და ობამას დროს იყო იქ მოწყობილი, 70 ადამიანი დაითხოვა. როგორც ჩანს, წმენდის შემდეგი ეტაპი შეეხება სახელმწიფო დეპარტამენტს და მასთან აფილირებულ სტრუქტურებს, მაგალითად, USAID-ს. ჩვენ გვახსოვს, როცა ტრამპის წარმომადგენელი ჩამოვიდა საქართველოში, მან სხვანაირად გადაალაგა USAID-ის ბიუჯეტი — საუბარია 14 მლნ დოლარზე, რომელიც 1 წლის განმავლობაში უნდა გადანაწილებულიყო ქართულ არასამთავრობო სექტორზე. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ტრამპმა ეს თანხები რამდენიმე წელზე გადაანაწილა. ეს პროცესები მიდის გლობალურად. როგორც ამბობენ, აშშ-ში გაზაფხულზე დაიწყება წმენდის მეორე ეტაპი და მესამე ეტაპი — ტრამპის არჩევნების შემდეგ.

იხ. 6 გვ.

ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲘ

ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲛᲝᲒᲕᲓᲔᲑᲘᲐ...

ᲓᲦᲔᲡ **რატომღაც ამოვიჩემე: მიდიან... თუ მიედინებიან? ჰო, სულ ერთი არ არის? მაგრამ, დავუკვირდეთ, მიდიან ადამიანები, მიედინება წყალი — მდინარე, არც ერთი უკან არ ბრუნდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩნდება ახალი... უსასრულოა სიცოცხლე. უსასრულოა წასვლა-მოსვლის პროცესი. მრავლობს და მძლავრობს ადამიანთა მოდგმა პლანეტაზე, მიდიან, მაგრამ წამსვლელზე მეტი მომსვლელია ხშირად (სამწუხაროდ, არა ჩვენთან, საქართველოში!). სტატისტიკის მიხედვით, ცოტაც და ეს გამრავლება სახიფათო არ გახდესო, წუწუნებენ მეცნიერები. ადამიანთა გამოკვების, სურსათ-სანოვაგის პრობლემაც დგება, წიაღისეული იკლებსო, — შფოთავენ. არამც თუ წიაღისეული, არამედ ჟანგბადიცო, — ნერვიულობენ. აპოკალიფსურ მოსალოდნელობებზეც გვესაუბრებიან კვლევების შედეგად მიღებულ ინფორმაციებში. მაინც არხეინად ვართ, ვერც კი წარმოგვიდგენია, მზე თუ არ გაგვინათებს ოდესმე, უზარმაზარი აისბერგები თუ დადნება, ოკეანეები თავის კუთვნილ ნაპირებს თუ გადმოსცდა... და უამრავი რამ კიდევ, ვინ მოთვლის.**

რა ᲫᲜᲐᲡ ადამიანმა, დაიჯეროს თუ არ დაიჯეროს ეს ყოველივე? არდაჯერებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დაჯერების შემთხვევაში რა მოხდება? დავუკვირდებით, დავფიქრდებით, მეტი მოკრძალებით მოვეპყრობით ბუნებას, დავთმობთ გაზს, ნავთობს და სხვა მსგავს ნივთიერებებს და, სამაგიეროდ, აღმოვაჩენთ უფრო უსაფრთხო წიაღისეულს, ან თავად შევქმნით რაიმეს ისეთს, დედამიწასაც და ადამიანებსაც ერთნაირად რომ არგებს?.. იმედი ვიქონიოთ — ასე იქნება უახლოეს მომავალშიც. ჯერჯერობით კი ეკოლოგიურ ჩიხში შედის მთელი მსოფლიო! ასეა და ნუ დაიჯერებთ, თუ გნებავთ! ჩინეთში ათასობით ადამიანი იმსხვერპლა ახალმა გრიპმა, რომლის ასავალ-დასავალი არავინ იცის, ადამიანები კი იხოცებიან. რა არის ეს, ჩინეთის ერთ ქალაქში გავრცელებული და შემდეგ სხვა ქვეყნების ქალაქებში გატანილ-გამოტანილი უბედურება? სახელი კი მოუნახეს, — „კორონა-ვირუსიო“, მაგრამ ვისი და რისი „კორონაა“ და საიდან მოვიდა? იდუმალების ჩრდილი დაჰკრავს ამ ყოველივეს, არადა, ვრცელდება და ვრცელდება, მატულობს და მატულობს მსხვერპლი, გუშინ თუ ათასი იყო, დღეს უკვე ათას ექვსასიაო, ამბობენ. საქართველო რომ მწვანე ზონაშია, გვიხარია, მაგრამ ეს „სიმწვანე“ არ არის საშველი... ჩვენ ხომ სულ სხვაგვარი ვირუსი მოგვდებია და მშვიდად როგორ იქნები, თუ ერისკაცი ხარ, თუ სამშობლო გიყვარს...

ამ ჩვენს პატარა ქვეყანას, სადღეგრძელოებში რომ თავს ვევლებით, ვითომ რომ მისთვის ვცოცხლობთ და მისთვის ვკვდებით, ხან აქეთ ვექაჩებით და ხან იქით, სადაცაა წელში გავწყვეტთ (თუ უკვე არ გაგვიწყვეტია!), და აქ სამშობლოს სიყვარული არაფერ შუაშია. სიყვარული, ამ შემთხვევაში პატრიოტიზმი, სხვა რამეა, იგი აახლოებს და აერთიანებს ადამიანებს, და ასეთ შემთხვევაში, რას ჰქვია სამშობლოს სათავისოდ ეზიდებოდეს პოლიტიკოსთა რომელიმე ძალა, პოზიცია თუ ოპოზიცია, ვითომცდა პატრიოტიზმის დროშით ძირს რომ უთხრიან საქართველოს სახელმწიფოებრიობას. გათითოკაცებულები სად არ გარბიან, საზღვრის იქითა ქვეყნებში და სად არა, ითხოვენ შველას, მაგრამ ვინ უნდა გიშველოს, თუნდაც იმ საზღვრის იქით ერთგული და თავგადადებული მეგობარი გყავდეს, ვის და რას უნდა უშველოს, როცა „მშველელს“ თავად ვერ გაუგია რა უნდა, რა აშფოთებს. ეჰ, რას გაიგებს, ერთნი ერთ ამბავს უამბობენ, მეორენი კი სრულიად საწინააღმდეგოს. ჩვენი საქმე ვერ დაგვილაგებია, თეთრი და შავი ვერ გაგვირჩევია... ის, რაც ჩვენ გვჭირს, უნიჭობაა, უსუსურობაა, კიდევ ერთსაც ვიტყოდი — არაკაცობაა! ეს ძიძგილაობა — არა შენ და არა მეო, სამთავრობო სკამებისთვის, ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლა, არა მარტო ქვეყნის ავტორიტეტს თელავს ფეხქვეშ, არამედ აღარიბებს და აჩაჩანაკებს ქვეყანას, ხალხს... აბა, სად სცალიათ ამ უგუნურ „ომში“ ჩართულებს ხალხისთვის, განათლების, კულტურის, ეკონომიკის აღორძინებისთვის.

და ვართ კიდეც ასეთ სამარცხვინო დღეში, ვერ გაგვირკვევია ქვეყნის ბიუჯეტიდან ათეული მილიონობით გამფლანგველი როდის დავსაჯოთ, როგორ ვაგებინოთ პასუხი. არ ვიცით, გვაქვს თუ არა დამოუკიდებელი სასამართლო, გვყავს თუ არა დამოუკიდებელი პროკურორი. რატომ არ უნდა ვიცოდეთ? იმიტომ რომ, დღევანდელი მთავრობის მიდგომები ამ საკითხებისადმი ბუნდოვანია, ეჭვებს ბადებსო, — ამბობს ხალხი. რატომ გაათავისუფლეს თავის დროზე პასუხისგებაში მიცემული გამფლანგველი (მაგ. გ. უგულავა) და რატომ დააპატიმრეს მინცდამაინც მაშინ, როდესაც იგი სხვებთან, ეგრეთ წოდებულ ქვეყნის მოჭირნახულეებთან — პოზიციის თუ ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად, მოლაპარაკების მაგიდასთან იჯდაო, — კითხულობენ. მაინცდამაინც ახლა, როდესაც არჩევნები კარზე მოგვდგომიაო და ამ პროცესის ციებ-ცხელებით შეპყრობილნი დღედაღამ იმას ფიქრობენ, როგორ, რა საშუალებით მოსცხონ ჩირქი მთავრობას, როგორ დათესონ ხალხში მათდამი სიძულვილიო. ასე არ არის? არის და, ახლა მედიას, ტელეჟურნალისტებს არ იკითხავთ?

ქვეყნის საქმე მაშინ არის უკულმა, როდესაც ტელეჟურნალისტს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე საკითხებზე და უარესიც — უჭირავს იმ ადამიანის პოზიცია, რომელსაც თეთრი შავისგან ვერ გაურჩევია და ტელეარხიდან აფრქვევს ხალხის გონების დამაბინძურებელ აზრებს. სასწაულია, რომ ასეთები მომრავლდნენ. რატომ? ისევ მთავრობასა და მის პოლიტიკასთან მივდივართ. ვფიქრობ, რომ ცუდად გაგებული დემოკრატია ან უნიჭობაა, ან გაუნათლებლობა, ან ერთიც და მეორეც. ჩვენ განათლებული, გონიერი, ღრმად დაფიქრებული ჟურნალისტები გვჭირდება, ეს აუცილებელია, თორემ, განა შეიძლება მათი გონების, ხასიათისა და განათლების მიხედვით ხალხში ბუნდოვანი აზრების ტირაჟირება? ასე ვფიქრობ! თუმცა ასე ბევრი ფიქრობს, მაგრამ ფიქრებით რას ვშველით!

ვფიქრობ იმასაც, რომ დღეს საქართველოში კატეგორიულობის დრო არ არის. სიღრმისეული დაფიქრებით და განსჯით სიმართლისა და სინამდვილის დადგენის დროა. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ, ამ მიწის შვილები, ძალიან ცოტანი ვართ, სულ რაღაც სამი-ოთხი მილიონი. არავინ არ გვემეტება (არ უნდა გვემეტებოდეს!) დასაკარგავად, თუნდაც დასაპატიმრებლად. მაგრამ რა ვქნათ, როცა უცნაურია ზოგიერთთა წუთისოფელი, „საწყაული აღუვსებელი“, ერთხელ ნატვრით მიღებულს როდი კმაყოფილდებიან... და არამც თუ ცდებიან, არამედ ჯიბის გასასქელებლად დანაშაულსაც კი სჩადიან... განა არ ვხედავთ, რომ მთავრობაც უშვებს შეცდომებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ დავინახოთ ჩასაფრებული და უაღრესად მტრულად განწყობილი ოპოზიცია და ვერ ამოვიკითხოთ მათში მხოლოდ ერთი რამ — ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი!

ჩქარობს მთავრობა. ეს ძალიან ცუდია. ამ სიჩქარეში ხან უკან რჩება, ხან არახელსაყრელ სვლებს აკეთებს. მაგალითისთვის უგულავას საქმეც საკმარისია. კაცს, რომლის შესახებაც მთელმა საქართველომ იცის, რომ ქალაქის მერობის დროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათეული მილიონობით თანხა „შემოეფლანგა“, გასული წლების ამბავი ახლა გაუხსენეს... დამნაშავეა, პასუხი სრულად უნდა აგოსო. კი ბატონო, ნებისმიერმა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს დანაშაულის მიხედვით, მაგრამ ხომ დავინახეთ რამოდენა მნიშვნელობა აქვს დროს და ვითარებას. დამნაშავე „საწყალ კაცად“ კი არა, ლამის გმირად ვაქციეთ, ხალხს თვალები აუწყლიანეს, რას გადაეკიდნენ ამ „ოქროსავით ბიჭსო“... მერე სურათს არ იკითხავთ: ციხეში „უსამართლოდ“ გამწესებული კაცისა და მისი შვილის მართლაცდა მშვენიერი გოგონას გამომშვიდობება, გული აუდუღდა ყველას, ჩვენში არსებული ყველა საელჩოს წარმომადგენლებსაც კი. გადაგვავიწყდა ხალხის ოფლით მოპოვებული მილიონების გაფლანგვის ისტორია და სხვა ბევრი რამ უკუღმართობა. ოპოზიცია ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა, კიდევ უფრო „ლამაზად“ შეფუთეს „უდანაშაულო“ უგულავას ამბავი, სასწრაფოდ დესპანი გაგზავნეს სტრასბურგში, არიქა, გვიშველეთ, მთავრობა ოპოზიციის აქტიურ პოლიტიკოსებს დევნის და აპატიმრებსო. ადგილზეც მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება და „შეურაცხყოფილებმა“-სასწრაფოდ მიატოვეს მოლაპარაკების მაგიდა, რომელიც პოზიციასთან ერთად არჩევნების წესს, რიგსა და კანონის შესახებ შეთანხმებას ითვალისწინებდა. მთავრობა „მუხლს იყრის“ პატივცემული ოპოზიციის წინაშე და სთხოვს მათ, დაუბრუნდნენ მოლაპარაკების მაგიდას, მაგრამ ამაოდ! „ნაციონალებმა“ სწორედ იმას მიაღწიეს რაც უნდოდათ და ახლა, უკან დაბრუნდებიან ?! — ეჭვიანობს ხალხი. დიახ, თითქმის მიაღწიეს, ახალ საბაბს მიაგნეს მთავრობის „გასაშავებლად“. მთავრობას კი სხვა რა დარჩენია თავის მართლების მეტი. რა თქმა უნდა, შექმნილია ვითარება, როდესაც ძნელად გასარჩევი ხდება შავი და თეთრი, ტყუილი და მართალი, მით უფრო ისეთ ინფორმაციულ სამყაროში, როგორიც ჩვენ გვაქვს.

ყველაზე მეტად იცით, რა მაწუხებს? მაწუხებს კი არა, პირდაპირ მრცხვენია — რატომ არ შეუძლიათ ქართველებს, ამ შემთხვევაში პოზიციას და ოპოზიციას, თავიანთივე სამშობლოში, ორივე მხარისთვის გასაგები ქართულით დაელაპარაკონ და გაიგებინონ ერთმანეთს ქართულ გარემოში მომხდარი ამბავი, ავი და კარგი. იურისპრუდენციის მცოდნენი ჩარიონ, პროკურატურა, უზენაესი სასამართლო, უხუცესთა საბჭო, ხევისბერები... ნუთუ დაილია საქართველოში ჭკვიანი, სიმართლისმოყვარე, ქვეყნის ერთგული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები? მაინცდამაინც უცხოელებმა უნდა გაარჩიონ ჩვენი საქმე? ჩვენ ვერ მოვესწრებით, თორემ გავა დრო და მთაწმინდაზე ნახავენ ჩვენი შთამომავლები არა ერთსა და ორს მასეთს... რა უსამართლოა და რა რთული ეს ცხოვრება...

ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, თუ დანაშაული აქვს ჩადენილი , ბრალდებულია და მაინც გამომწვევად იქცევა, ხალხს აბრუებს, სხვის შეცდომებს და დანაშაულებს ეძებს — ის ძალიან ცუდი კაცი! მართლაც სულ სხვაგვარი ვირუსი მოგვდებია. სასწრაფოდ მკურნალობაა საჭირო!

ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲣᲩᲔᲠᲓᲔᲑᲐᲗ

ᲡᲐᲐᲠᲡᲚᲔᲑᲘᲗ შემწეობის მიმღებ ოჯახებს, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების პერიოდში, თანხის ჩარიცხვა აღარ შეუჩერდებათ.

აღნიშნულს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივა ითვალისწინებს, რომელიც გუშინ მედიას დიმიტრი ხუნდაძემ გააცნო.

„როგორც იცით ქვეყანაში, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მოქმედებს დახმარების პროგრამა, რომლითაც სარგებლობს — 430.000 მოქალაქე, მათ შორის ბავშვები. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ პერიოდულად საჭიროებს გარკვეულ, დასაბუთებულ ცვლილებებს. დღეის მდგომარეობით, გადამოწმების დროს, რაც ასევე აუცილებელი პროცედურაა, სტატუსის მატარებელ ოჯახებს დროებით უჩერდებათ დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ უდიდეს ნაწილს განაცდური უნაზღაურდებათ სრულად, მაინც მძიმეა მათთვის ეს პერიოდი, რადგან ისინი ბედის ანაბარა რჩებიან სიღარიბის პირისპირ. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი გამოდის ინიციატივით, რომ საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებს, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმების პერიოდში არ შეუჩერდეთ საარსებო შემწეობის გაცემა. შემდეგ კი, გადამოწმების შედეგად მინიჭებული სარეიტინგო ქულიდან გამომდინარე, გაგრძელდეს ან შეწყდეს მათი პროგრამაში მონაწილეობა. ამისათვის საჭიროა დამატებით 5.4 მილიონი ლარი. ამ გადაწყვეტილებით, ოჯახებს გადამოწმების პერიოდშიც, ახალი სარეიტინგო ქულის მინიჭებამდე უწყვეტად მიეცემათ საარსებო შემწეობა. ეს იქნება მოსახლეობის საკეთილდღეოდ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი და მისი განხორციელებით რისკის ქვეშ არ დადგება საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა“, — განმარტა დიმიტრი ხუნდაძემ.

ხუნდაძის განმარტებით, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და ცვლილება მიმდინარე წლის აპრილიდან შევა ძალაში.

ჩვენსავე ნავთობს ჩვენთვისვე ცეცხლის წასაკიდებლად იყენებენ?!..

(მეოთხე გვერდიდან)

— ტრამპის წარმომადგენლის ჩამოსვლა საქართველში და USAID-ს ბიუჯეტის გადალაგება რამდენად დაეტყობა ადგილობრივ არასამთავრობო სექტორს?

— ვფიქრობ, უკვე დაეტყო. თუ გადახედავთ მათ პროფილებს სოციალურ ქსელებში, ნირწამხდარნი არიან, ვინაიდან რადიკალურად შეუმცირეს ერთი წლის 14-მილიონიანი დაფინანსება და გადაუნაწილეს რამდენიმე წელზე. ეს კი ის ხალხია, რომელიც მსუყე დაფინანსების გარეშე თავს არ მოიკლავს.

— საერთოდ, რას მიაღწევს გაერთიანებული ოპოზიცია. როგორც კი დაიწყო ლაპარაკი გაერთიანებაზე და საერთო მაჟორიტარ კანდიდატზე, ზუსტად მეორე დღეს საპაკშვილმა თქვა, რომ ქმნის ცალკე შტაბს. ალბათ, მას სურს, გაზომოს საკუთარი რეიტინგი, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს უკვე იმის პირველი ნიშანია, რომ გაერთიანებული ოპოზიცია ვერანაირ საერთო კანდიდატზე ვერ შეჯერდება?

— ნებისმიერი კვლევა, რომელიც ქვეყნდება, აჩვენებს, რომ პარტიები არიან ყველაზე არაპოპულარული სტრუქტურები ქვეყანაში. ამხელა ნეგატივი არც ერთ სხვა სტრუქტურას არა აქვს. ხალხმა დაინახა, რომ პარტიები მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის იბრძვიან და არა ხალხის გულისთვის. დღეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ მეგულება პოლიტიკური პარტია, რომელსაც მოსახლეობის ისეთი ნდობა ჰქონდეს, რომ ხალხმა ქვეყანა ანდოს. აქედან გამომდინარე, ისინი ცდილობენ, რომ მღვრიე წყალში რაც შეიძლება მეტი დაიჭირონ თევზი. ქვეყნის მიზნები მრავალჯერ აქვთ გაყიდული. ხშირად ისეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც ქვეყნისთვის არ არის საგულისყურო. მსგავს ვითარებაში არ ვფიქრობ, რომ ოპოზიციური პარტიების კოალიცია სერიოზულ წარმატებას მიაღწევს, ან თუნდაც შეთანხმდებიან მთავარ პრინციპებზე ერთმანეთთან. თუ იდეოლოგიას, საგარეო ვექტორებს არა აქვს მნიშვნელობა, მაშინ რასა აქვს მნიშვნელობა?! ამ ფსევდოერთობით ისინი ერთმანეთსაც აფუჭებენ. იმ დაბალ რეიტინგს კიდევ უფრო უგდებენ ერთმანეთს და ეს ფაქტია.

— როდესაც ლიბერალებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ ხაზარაძე-ჯაფარიძის „ლელოს“, რომელიც ახლა გამოჩნდა პოლიტიკურ ველზე. ვინაიდან „ევროპულ საქართველოს“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ არა აქვს რეიტინგი, რამდენად შესაძლებელია, გარედან მოხდეს „ლელოს“ შემოჩეჩება?

— „ლელოს“ შეფასება რთულია. ისინი ხელისუფლებაში არ არიან ნამყოფები, მეტ-ნაკლებად ახალი ძალაა, თუმცა ფიგურები ნაცნობია ხალხისთვის და ხალხს თავისი შეხედულება აქვს ამაზე. ვფიქრობ, ჯერჯერობით, ნაადრევია, ლელოს შეფასება. დროა საჭირო.

— შეიძლება, როგორც პარტია „ლელო“ ახალია, მაგრამ თქვენც აღნიშნეთ, რომ ხაზარაძეს და ჯაფარიძეს იცნობს საზოგადოება. რაც შეეხება მათ პოლიტიკურ ნაბიჯებს, ანაკლიის თემამ უკვე გამოკვეთა კონტურები.

— მე ამ თემებს არ გავაერთიანებდი. სხვადასხვა განზომილების თემებია.

— რატომ? დავიწყოთ იმით, რომ ხაზარაძე — ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ამბობს: „თვალზე ცრემლები მადგება... სიღარიბისგან ხალხი წელშია გატეხილი“. ამ სიღარიბეში ჩვენს ბანკებს რომ ლომის წილი აქვთ, ალბათ, საკამათო აღარაა. რაც შეეხება ანაკლიას, ჩნდება განცდა, რომ ეს თემა სპეკულაციის საგანი იყო და პოლიტიკური ვაჭრობის მომენტებიც იკვეთებოდა ღიად. სხვანაირად როგორ გავიგოთ ანაკლიის თემის ჩავარდნაში მხოლოდ ხელისუფლების დადანაშაულება, როცა თავად ანაკლიის კონსორციუმმა ინვესტორები ვერ დაარწმუნა, რომ თანხები მოეზიდა? სწორედ ეს არის საყურადღებო, რამდენად შეიძლება „ლელო“ არსებული ოპოზიციისა და ხელისუფლებისგან განსხვავებულ ძალად მივიჩნიოთ? საზოგადოება „იყიდის“ ხაზარაძე-ჯაფარიძის მიერ „მესამე ძალად“ შეფუთულ „ლელოს“?

— ქართულ პოლიტიკაში ყველა ცდილობს, რომ ნებისმიერი ვითარებიდან მიიღოს მეტი სარგებელი. რაც შეეხება ანაკლიას, 2014 წლიდან გაცხადდა სახელმწიფოს მხრიდან ეს მიზანი. ანაკლიის საერთაშორისო კონსორციუმი არის ბიზნესჯგუფთა ერთობა, რომელმაც უნდა მოაგროვოს ფული პორტის მშენებლობისთვის და ამაზე უნდა იშოვოს მოგება. ეს არის მთელი არსი. ვერ მოაგროვა, ვერ დაარწმუნა ინვესტორები. ხაზარაძის უახლოესი მეგობარი იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მის პირობებშიც ვერ მოხერხდა. დღეს ეს უკვე წარსულია. ვფიქრობ, სახელმწიფომ მაინც უნდა გააკეთოს ეს პროექტი და პრინციპში ამას აპირებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფოთის პორტს არ მიექცეს ყურადღება.

— სხვათა შორის, ფოთის პორტმა კიდევ ერთხელ მოითხოვა ნებართვა, ასე ვთქვათ, გაღრმაწყლოვანებაზე...

— ფოთის პორტი ეს არის ტრადიციული, ისტორიული ნავსაყუდელი, რომელიც თავის დროზე რომ არ გვქონოდა, ალბათ, შიმშილით დაიხოცებოდა საქართველოს მოსახლეობა. სააკაშვილის დროს, ფოთის პორტი გადასცეს უცხოელებს. ამის წინააღმდეგი ვიყავი. ქვეყანაში უნდა არსებობდეს სტრატეგიული ობიექტები, რისი მართვაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს და ერთ-ერთი ასეთია ფოთის პორტი, ვინაიდან მას სტრატეგიული დანიშნულება აქვს. მოხდა რა — როცა გადასცეს უცხოელებს, ტვირთებმა მოიკლო. არ ხდებოდა ფოთის პორტის აკვატორიის მოვლა-პატრონობა. ადრე წყლის სიღრმე 11-12 მეტრი იყო, ხოლო დღეს ცუდ ამინდში ხუთნახევარი მეტრია, ვეღარ შემოდიან დიდი გემები, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთეული კონტეინერის გადმოზიდვა ძვირდება.

— ტრანსნაციონალური კომპანიები ხშირად სხვადასხვა ქვეყნებში იმ მიზნით შედიან, რომ მეტოქე მოკლან...

— რა თქმა უნდა. შვილობილი კომპანია, რომელიც მართავს ფოთის პორტს, ვფიქრობ, არც თუ ისე ნიჭიერად მართავს. „მაერსკი“ არის გლობალური კომპანია, რომელიც თავის დროზე დანიური იყო, დღეს ამერიკელებს აქვთ უმრავლესობა. მაერსკი მუშაობს რუსეთშიც. დღეს მთელი ჩინური ტვირთები როგორც ზღვით, ისე რკინიგზით, ევროპისკენ მიდის რუსეთის გავლით, რაც მთლიანად არის სააკაშვილის დამსახურება. საუბარია 80 მილიონ ტონა ტვირთზე. „მაერსკი“, რომელიც რუსეთშიც მუშაობს, შესაძლოა, არ იყოს დაინტერესებული ფოთის პორტის განვითარებით. ამიტომ არის საჭირო, რომ ფოთის პორტი იყოს სახელმწიფოს განკარგვაში.

შარშანწინ უკრაინაში ვიყავი, ვმუშაობდი მთავრობის მრჩევლად და იმ დროს გავეცანი ოდესის პორტის გაღრმავების პროექტს. ოდესის პორტმა დაიქირავა სამხრეთ კორეული კომპანია, რომელსაც გადაუხადეს 40 მილიონი დოლარი და პორტის აკვატორია 4 მეტრით გააღრმავეს, რომ დიდი გემები შესულიყო შიგ. ოდესის პორტის აკვატორია არის ზუსტად ოთხჯერ უფრო დიდი, ვიდრე ფოთის. გამოდის, ფოთის პორტის გაღრმავებას სჭირდება დაახლოებით 10-12 მილიონი დოლარი, რაც არ არის წარმოუდგენელი ასტრონომიული თანხა ფოთის პორტისთვის. იმ ფირმას, ვისაც მართვაში აქვს ფოთის პორტი, სახელმწიფომ უნდა მოსთხოვოს ამის გაკეთება.

საერთოდ, საერთაშორისო კორპორაციები თავისი ინტერესების მიხედვით მოქმედებენ. მაგალითად, იგივე „მარტინ ბაუერი“, რომელიც 90-იან წლებში შემოვიდა და საქართველოს ხელისუფლებას დაჰპირდა, ჩაის ინდრუსტიას ავაღორძინებო, ისე მოიქცა, ვითომ რაღაცას აკეთდებდა. არადა, სწორედ ამ დროს გავერანდა ჩაის პლანტაციები და მხოლოდ პლანტაციების აღდგენა ნახევარი მილიარდი დოლარი ჯდება. აღმოჩნდა, რომ „მარტინ ბაუერი“ იყო მსოფლიო ჩაის წარმოების გიგანტების მიერ შემოგზავნილი ფირმა, რომლის მიზანი იყო, ჩაის ინდრუსტია გაჩერებულიყო საქართველოში. ამ დროს, 300-მილიონიან ბაზარს ვამარაგებდით ჩაით. რა ჩაის ვსვამთ დღეს? — აზერბაიჯანული ჩაი იყიდება საქართველოში. ამას წინათ შემხვდა შეკვეთილი სტატია, თითქოს ქართული ჩაი ხარისხით არ ვარგა და ამიტომ აზრი არა აქვს განვითარებასო. ანუ ასეთი რაღაცები ხდება საერთაშორისო ბიზნესში, ასეთი მეთოდებით იშორებენ პოტენციურ კონკურენტებს და ჩვენც ამას გვიკეთებენ. ასე მოიშორეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანაც. თავის დროზე ფეროც აიღეს მართვაში, რომ პრობლემა არ შექმნოდა უკრაინელი ოლიგარქების ქარხნებს უკრაინაში... ამიტომ სახელმწიფოს მართებს სიფხიზლე და სიფრთხილე. ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ბრჭყვიალებს და, განსაკუთრებით, ეს საერთაშორისო ორგანიზაციებს ეხება. თუნდაც იგივე „ფრონტერას“, რომელიც ფაქტობრივად ვითომ ნავთობს მოიპოვებს კახეთში.

— სინამდვილეში რა მისია აქვს საქართველოში „ფრონტერას“?

— 23 წელია, მუშაობენ. ამბობენ, ხუთას ორმოცდაათი მილიონის ინვესტიცია ჩავდეთ და 120 მილიონი ამოვიღეთო. ასეთი ბიზნესი არ არსებობს. 23 წელი ბიზნესმენი ასე გეგმაზომიერად კარგავდეს ფულს, ეს გამორიცხულია. სინამდვილეში ვითომ იძიებენ, შეიძლება, ეს აწყობდეს ისეთ ძალას, რომელიც საქართველოში ყიდის ნავთობპროდუქტებს...

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ჩინეთმა სპილენძის გატანა 44.4 მილიონ აშშ დოლარამდე გაზარდა

2020 წლის იანვარში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 82.8 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (44.4 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (44.0 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (33.4 მლნ. აშშ დოლარი). ამის შესახებ ინფორმაციას „საქსტატი“ აქვეყნებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 41.5 მილიონი აშშ დოლარით არის გაზრდილი. 2018 წლის იანვარში ჩინეთში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულება 2.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2019 წლის იანვარში ეს მაჩვენებელი 44.4 მილიონი აშშ დოლარი იყო.

2020 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 882.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 5.7 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 262.6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (10.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 619.8 მლნ. აშშ დოლარს (4.0 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, მიმდინარე წლის იანვარში, 357.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.5 პროცენტია.

2020 წლის იანვარში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.4 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (97.2 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (72.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (65.0 მლნ. აშშ დოლარი).

2020 წლის იანვარში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 72.2 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (117.1 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (109.4 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (106.0 მლნ. აშშ დოლარი).

2020 წლის იანვარში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 51.8 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 19.7 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 49.4 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 18.8 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 16.0 მლნ. აშშ დოლარით (6.1 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2020 წლის იანვარში წარმოდგენილი იყო ნავთობის აირების სახით, რომლის იმპორტმა 56.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9.2 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 51.6 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 8.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 50.0 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 8.1 პროცენტი).

ნინო თამაზაშვილი

ფილატელისტი ქალი

როდესაც თავს იწონებდი, ფილატელისტის მარკით,
მე ანა ფრანკი მეგონე, გამოდექ ჟანა დ'არკი.
ამგვარი ფიქრი, მერწმუნე, ხანდახან ღალატია.
მე აფროდიტე მეგონე, გამოდექ გალატეა.

დამჯერეა და გამგონე, ფიქრი, რომელიც მოვა,
ევა ბრაუნი მეგონე, გამოდექ პუგაჩოვა.
ეს, რა თქმა უნდა, შორს არი ჭეშმარიტებისაგან,
მე სხვა მეგონე, გამოდექ ფორსაიტების საგა.

თუ არაფერი არ მოდის, არსად არაფრისაგან,
ჭეშმარიტება შენშია და არ ეძებო სხვაგან.
მე დივერსანტი მეგონე, გამოდექ ტერორისტი,
მიუხედავად ამისა, პალმების ქოხთან გიცდი.

მიყვარხარ-მეთქი, არ გეტყვი, ეს ფრაზა მორიგეა,
მე პერიგეა მეგონე, გამოდექ აპოგეა.
სოფი ლორენი მეგონე, გამოდექ ბრიჯიდ ბარდო,
მეც გულბოროტი კაცი ვარ, არც მე არა ვარ სანდო.

* * *

თბილისელებს ბათუმი ჰგონიათ პროვინცია,
ეს ჩემზე უკეთ იცის ბათუმის პოლიციამ.
ბათუმის პოლიცია ყოველთვის დონეზეა,
მე გავიტანე თბილისში ბათუმის პოეზია.

ვერ ვეგუები ბათუმში უცხოთა ხელის ფათურს,
სხვა დატვირთვა აქვს თბილისში შოთა ზოიძის ქართულს.
მომდგარა ერთი პიგმენი, სიტყვის უფლებას მართმევს,
ბათუმისხელა ქალაქში არა გვყავს მოსამართლე.

თბილისისაკენ უჭირავს ყველას თვალი და ყური,
თბილისის მენესტრელი ვარ, ბათუმში გარიყული.
ბათუმი არ ჰგავს თბილისს, თბილისი არ ჰგავს ბათუმს,
როცა თბილისში წვიმს, ბათუმს ჩიტები ათოვს.

ბათუმს ამშვენებს გონიო, სარფი და მწვანე კონცხი,
ბათუმი საქართველოა, მისი სისხლი და ხორცი.
მონატრებია ბათუმი კარჩხლის მთებსა და ბორჩხას,
ბათუმის მწვანე კონცხიდან მთელი ქვეყანა მოჩანს.

* * *

მე ნოეს კიდობანი ვარ, ნაპირზე გამორიყული,
მისმენს ათასი ყური, ათასი თვალი მიყურებს.
მიყურებს ათასი ევა, მიყურებს ათასი ადამი,
ნოეს კიდობანი მე ვარ, მე ვარ და მაშასადამე,

ჩემშია გადანახული ათი ათასი მითი
და წითელ წიგნში შესატან ადამიანებს ვითვლი.
მე ნოეს კიდობანი ვარ, ანუ წითელი წიგნი,
უკვდავი სახელები მაქვს გადანახული შიგნით;

გადაშლილია ოქროს სარჩევი,
დრო აღარ მრჩება თქვენთან დემარშის,
რუსთაველი მყავს გადასარჩენი,
თანამედროვე ადამიანში.

კრისტის აუქციონი

კარი გამიღო ლონდონის გირუამ,
არ ვიცი, ასე რამ გამაგიუა.

კრისტის აუქციონს გამოაქვს ლოტები,
ბეთჰოვენის, ბრამსის, მოცარტის ნოტები,

პრინცესა დიანას პერანგი და საცვალი,
ბეჭედი, პრინცმა რომ აჩუქა საცოლეს.

რარიტეტში, ადრე რომ მიმოფანტეს,
ქუდი, რომელიც მოჰპარეს ბონაპარტეს,

სტალინის ჩიბუხი, თამარის ჯვარი,
ბრძოლის წინ რომლითაც დალოცა ჯარი,

ჩერჩილის სიგარა, სულთნის სათუთუნე,
ზოგი ღიად არი, ზოგი – შეფუთული.

აქ არის გოეთეს ოქროს კალამი,
ბალზაკის ფინჯანი, ჟანა დ'არკის ალამი.

ბრიჯიდ ბარდოს თვალების ფანქარი,
ახლა ეს ყველაფერი აქ არი.

კალასის, ჟაკლინის, ზიკინას ნიფხვები,
ლამაზი ფიტულები აზიური ვეფხვების.

კენედის ნიღაბი, ჟილეტი ბრეჟნევის,
ლუდოვიკო მეთოთხმეტეს ცხენების ეჟვნები.

ნიკოლას ბინოკლი, რუზველტის ეტლი,
თუ რამეს შევიძენ, უთუოდ გეტყვი.



შოთა ზოიძე

მე გავიტანე თბილისში ბათუმის პოეზია...

ტამერლანის ხმალი, ანტიკური ცული,
ცალი საყურე რეიგანის ცოლის.

საშინაო სამოსი ინდირა განდის,
აუქციონი ვერნისაჟს ჰგავდა.

პელეს მაისური, მარადონას ბუცი,
სამწუხაროა, რო გამეღვიძა უცებ.

ლექსი თქმული ზურაბ ზოიძის საფლავთან სოფელ ახალდაბაში

ზურაბ ზოიძე მომიკვდა შარშან,
ახალი წელი დამიდგა უზურაბოდ,
ჩემი მეხამრიდი და მუზარადი,
მის ორმოცზე მოსული თოვლიც გაშრა,

ისე, რომ არც კი გამიგია,
როგორ მოვიდა და როგორ გაშრა,
იმედი და რწმენა მომიკვდა შარშან,
მის საფლავთან გვირგვინების რიგია.

გამბედაობით ჰგავდა გაგარინს,
„წელიწადის დროები“ აკინძა წიგნად,
ასობით ტოროლა გალობდა შიგნით,
მეტაფორა ჰქონდა ძელქვასავით მაგარი.

მაგარი პოეტი, მაგარი ჯარისკაცი,
მეციხოვნედ იდგა ოთოლთის ალაყაფთან,
ძალიან ბევრი მოშურნეც ჰყავდა,
უფალი ზურაბს არავისში არ გაცვლის.

ყოველთვის იყო სიყვარულით მთვრალი,
საკუთარ სიცოცხლეს ხელგაშლით ხარჯავდა,
მამულის სატანჯველი ზურაბსაც ტანჯავდა,
არ წაუღია არავისი ვალი.

ბაჯაღლო პოეტი, ბაჯაღლო თამადა,
საკუთარ თავს მიუძღვნა ოქროს ელეგია,
პოეზია იყო მისი ენერგია,
გულში ოქრო ედო და არც მალავდა.

იესოსავით მტრებიც უყვარდა,
თვითონ არავისი მტერი არ იყო,
ყველაფერი მამულისთვის გაიღო.
თვითნაბადი პოეტის სახელი გაუვარდა.

ბათუმში აიშენა ლამაზი სახლი
შიგ ცხოვრება უფალმა აღარ აცალა,
წავიდა და წაიღო წუთისოფლის გამოცანა,
რომელიც ვერც მე ამოვხსენი ახლა.

გაზაფხული

გაზაფხულმა კვირტები დამიშინა,
რომელიც მოჰყავთ ზამთრიან მეომრებს,
ჯანმრთელი, როგორც ნატალია ნარიშკინა,
ვნებიანი, როგორც ეკატერინე მეორე.

მებრძოლი, როგორც ერეკლე მეორე,
ღარიბი, როგორც ნიკო ფიროსმანი,
კვირტებს, როგორც ჯავშნიან მეომრებს,
ერთი ამბავი აქვთ გარეთ გამოსვლამდე.

როცა მზემ პირველი სხივები ამიცრა,
გაზაფხული იგრძნო ბათუმის პიაცამ,
გაზაფხულის მერცხალი კინაღამ ვერ ვიცან,
ამის გამო, თუ გინდათ, მომკალით ვიღაცამ.

სიყვარული და ნოსტალგია

დონჟუანის სახელი მაშინ გამივარდა,
მაშინ როცა ქალები მიყვარდა,
მაშინ როცა ქალებს ვუყვარდი,
ზოგი მათგანი თავში ამივარდა,

მიყვარდა ქმრიანებიც და უქმროებიც,
დევების და ლომების ცოლები,
მიყვარდა ბაჯაღლო ოქროები,
მიყვარდა ტყუპისცალები,

მიყვარდა ტანწერწეტა ანტენები,
მიყვარდა ბაფთიანი გიტარები,
ღაწვები – თოვლის ფანტელები,
თავიანთ ჭკუაზე მატარებდნენ.

ტერორისტ ქალებსაც ვუყვარდი ძალიან,
რადგან ლამაზი ბიჭი ვიყავი.
პეტერბურგი ქალთა ნაკრძალია,
ირეოდნენ როგორც ჭილყვავნი,

აქტიორთა სახლში ტერეხოვა გავიცანი,
სოვრემენიკში – ლენა კოზენკოვა,
კინოვარსკლავის კოცნები ავიცერი,
თბილისელი ირინეც მალე მოვა.

ფრიადებზე დავიჭირე გამოცდები,
ზოგიერთს მინდა მოვუხადო ბოდიში,
რუსი ქალია საოცრება,
მსოფლიოში და ლოგინში.

,,პაემანი წვიმაში“ გერშანოვამ თარგმნა,
რომელიც დაიბეჭდა ,,დრუჟბა ნაროდოვში“.
საშა მეუიროვს მოეწონა, მაგრამ
სჯობდა პაემანი თოლიების თოვლში.

ქალებს ვუყვარდი უპირობოდ, უვადოდ,
დრო გავიდა და ყინული გალხვა,
მე ახლაც მიყვარს, ვისაც ვუყვარდი,
მე ვინც მიყვარდა, ვუყვარვარ ახლაც...

სკოლის შენობას ძეგლის სტატუსი მიენიჭა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის №02/9 ბრძანების საფუძველზე ქობულეთის სოფელ ციხისძირში მდებარე ყოფილი სკოლის შენობას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

შენობა XX საუკუნის დასაწყისშია აგებული.

არქიტექტურა მოდერნის სტილშია გადაწყვეტილი და კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ ობიექტს წარმოადგენს.

ესტონეთის საგარეო დაზვერვის ანგარიშის მიხედვით, 2020 წელს რუსეთი ფოკუსირებული იქნება აშშ-ის საპრეზიდენტო და საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე. რაც შეეხება მიზნებს, როგორც ესტონეთის სპეცსამსახური ასკვნის, „რუსეთს სურს, აჩვენოს, რომ სამართლიანი არჩევნები ვერ იმართება, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, რუსეთის პრობლემიდან ყურადღება გადაიტანოს და დასავლეთის „ორმაგი სტანდარტების“ რიტორიკა გამოიყენოს“.

ის გარემოება, რომ საქართველოს მხარდამჭერი დასავლური ქვეყნის სპეცსამსახურების ანგარიშში საქართველო ამ კონტექსტში მოხვდა, მნიშვნელოვნად მიაჩნია „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუტის“ დამფუძნებელ დავით ბრაგვაძეს:

ჯაშუშები აფუთფუთდნენ...

„ჩემს მეხსიერებაში პირველი შემთხვევაა, როდესაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის ანგარიშში საქართველო მოხვდა, როგორც რუსული პროპაგანდის შესაძლო სამიზნე არჩევნების დროს. ეს ნიშნავს, რომ დასავლურ სამყაროში არსებობს მიზანი და გვაკვირდებიან, რადგან ხედავენ, რომ შესაძლოა, აღმოვჩნდეთ საფრთხის ქვეშ“.

რას გვიმზადებს საარჩევნოდ კრემლი

თავად საკითხი მგრძნობიარეა ქართველი საზოგადოებისთვის და ეს აჩვენა კიდეც 2019 წლის ზაფხულში „გავრილოვის ღამის“ მოვლენებმა. ალბათ, სწორედ ამიტომ რუსეთის უხილავი თუ ხილული ხელი ერთ-ერთი მთავარი იარაღია პოლიტიკური აქტიურობისთვის ოპონენტების წინააღმდეგ პოზიციონირებისას და ხშირად პოლიტიკურ სპეკულაციასაც ემსგავსება, რაც თავად რუსული საყრდენების სრულად გამოვლენას მაინცდამაინც არ უნდა უწყობდეს ხელს. ამ ფონზე მნიშვნელოვანია, გავერკვეთ, მაინც რა მიმართულებებზე დადებს ფსონს რუსეთი თავის მიერ მხარდაჭერილი რიგი ჯგუფებისა და თემების ლუსტრაციის პირობებში. სიახლე არაა, რომ ერთ-ერთ მსგავს საკითხს „ერთმორწმუნეობა“ წარმოადგენს, თუმცა როგორც პრაქტიკა აჩვენებს, არც მაინცდამაინც ეფექტურს. ისიც ცნობილია, რომ საქართველოში არსებობენ რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფები, თუმცა თუ გავიხსენებთ იგივე „გავრილოვის ღამეს“ და სხვადასხვა საზოგადოებრივ კვლევებს, ქვეყანაში, სადაც პროევროპულ საგარეო პოლიტიკურ კურსს მნიშვნელოვნად მაღალი და მყარი მხარდაჭერა აქვს, რთული დასაშვებია, მმართველობაში ღიად პრორუსული ჯგუფები მოექცნენ. თუმცა აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს კითხვები ამჟამინდელი ხელისუფლების საგარეო ორიენტირებთან მიმართებაში. ამდენად, საყურადღებოა, მაინც რა არის ჩრდილოელი მეზობლის მიზანი საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის.

დავით ბრაგვაძე რუსეთის აქტიურობას რამდენიმე მიმართულებით ელის:

- **პრორუსული პოლიტიკური ძალების და საზოგადოებრივი ჯგუფების გააქტიურება საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მიზნით;**
- **საზოგადოებაში რადიკალიზაციის მაღალი დონის შენარჩუნება;**
- **ხელისუფლების კანონიერების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.**

„მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი სამეზობლოში ხშირად იყენებს რადიკალიზაციის ხერხს. რაც უფრი „მღვრიეა წყალი“, რუსული სახელმწიფო მანქანა მეტ „თევზს“ იჭერს. სამწუხაროდ, ნიადაგი საქართველოში არსებობს: დაძაბულობა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო დროს საკმაოდ მაღალია. არა მგონია, რუსეთის პოლიტიკურ ელიტას ჰქონდეს ილუზია, რომ საქართველოში არჩევნებში ღიად პრორუსული პოლიტიკური ძალის გამარჯვების შანსი არსებობს. ამიტომ რუსეთის მიზანი იქნება, გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას, ვინც არ უნდა იყოს ის, რაც შეიძლება, დაბალი ლეგიტიმაცია ჰქონდეს. რუსეთი ხედავს, რომ საზოგადოებრივ დონეზე საქართველოში მისთვის საარგებლო გაწყობა არაა, არც პოლიტიკურ წრეებშია საკმარისად, აქედან გამომდინარე, ყველა გავლენიან პოლიტიკურ აქტორს პრობლემა საზოგადოებასთან უნდა ჰქონდეს; არ უნდა იყოს ნდობის, ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი. რუსეთი ფიქრობს, რომ ასეთ შემთხვევაში მეტის მიღწევა შეუძლია ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ხელისუფლების დაბალი ლეგიტიმაციის პირობებში მაღალი პოლიტიკური ტემპერატურა შენარჩუნდება. თუ ხელისუფლება ქვეყნის შიგნით სუსტია, უფრო მოწყვლადია, მაღალია სხვადასხვა გავლენის მიმართ. ჩვენ კი ვიცით, რომ რუსეთი ყოველდღიურად იყენებს თავის ხელთ არსებულ ბერკეტებს, მათ შორის — საოკუპაციო ხაზის პრობლემას. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების ერთიანობის ხარისხზე, ხოლო ხელისუფლებისთვის თავის ტკივილია, ვინაიდან წლების განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობის მიუხედავად, ამ მიმართულებით შედეგები არ არის“.

— რუსული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში საინტერესოა, მათ შორის, რამდენიმე ახალი მონაცემი.

პირველი — შარშან 20 დეკემბერს „ფეისბუქმა“ ასეულობით გვერდი და ანგარიში დაბლოკა, რომელიც, მისი დასკვნით, საქართველოს მმართველ გუნდთან იყო კავშირში და დეზინფორმაციას ავრცელებდა. ამ გვერდებისა და ანგარიშების რეკლამირებაში თითქმის 1 მილიონი ლარი დაიხარჯა. ატლანტიკური საბჭოს ციფრული გამოძიების კვლევის ლაბორატორიამ (DFRLab) „ფეისბუქის“ გამოძიების პარალელურად საკუთარი კვლევა ჩაატარა (DFRLab-ს თავდაპირველად საქართველოში ორგანიზებული საეჭვო ოპერაციების შესახებ ინფორმაცია „ფეისბუქმა“ მიაწოდა) და დაადგინა: გაუქმებული ვებგვერდები ქართულ აუდიტორიაზე იყო გათვლილი, ავრცელებდნენ „დამაპირისპირებელ სოციო-პოლიტიკურ შინაარსს, რაც ივანიშვილსა და მთავრობაში მის მოკავშირეებს უჭერდა მხარს, ცდილობდნენ საქართველოს დასავლელი პარტნიორების, განსაკუთრებით კი შეერთებული შტატების დისკრედიტაციას და ამასთანავე, ავრცელებდნენ პრორუსულ ნარატივს, თითქოს 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო.

მეორე — „აქცენტმა“ 2019 წლის ბოლოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოითხოვა მონაცემები იმის შესახებ, 2012 წლიდან დღემდე რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში რამდენი პირი და ორგანიზაცია იქნა მხილებული; რა ზომები გატარდა მხილების შემთხვევაში, რამდენს წარედგინა ბრალი და რატომ არ განსაჯაროებულა არც ერთი საქმე.

პასუხად ზოგადი, მაგრამ მაინც საყურადღებო მონაცემები მივიღეთ, რაშიც საუბარი არ არის „ჯაშუშების“ პასუხისგებაში მიცემაზე.

„უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ საქართველოში განხორციელებული სავარაუდო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით 2012 წლიდან დღემდე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 10 საქმეზე, საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით (უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა ანდა გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს მიზნის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა. ისჯება 12 წლამდე პატიმრობით) და 319-ე მუხლით (უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარება. ისჯება 15-წლამდე პატიმრობით) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით **(რედ. — არ არის დაზუსტებული, რომელი ქვეყნის ან ქვეყნების სასარგებლოდ ჯაშუშობაზეა საუბარი)**. აღნიშნული საქმეები შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, შესაბამისად, მათი განსაჯაროება არ მოხდა. ამასთან, გარდა ზემოაღნიშნულისა, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ტარდება კონტრდაზვერვითი ღონისძიებები არაერთი პირის მიმართ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, კანონმდებლობის შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, განვახორციელოთ აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება“.

მარტოხელა მკვლელი თუ?..

გერმანიის ქალაქ ჰანაუში ბოლო მონაცემებით, თავდასხმას 9 ადამიანი ემსხვერპლა. მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია 8 გარდაცვლილისა და 5 დაშავებულის შესახებ. თავდასხმა ჰანაუში 2 სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე ჩილიმ-ბარზე განხორციელდა.

თავდამსხმელის ცხედარი პოლიციამ მოგვიანებით მის საცხოვრებელ სახლში იპოვა. მასთან ერთად სამართალდამცველებს ადგილზე კიდევ ერთი ადამიანის ცხედარი დახვდათ. პოლიციის ინფორმაციით, ჯერჯერობით თავდასხმაში სხვა პირების მონაწილეობა არ დასტურდება. თავდამსხმელი, სავარაუდოდ, მარტო მოქმედებდა. დანაშაულის მოტივი უცნობია.

გარიგება შეწყალების სანაცვლოდ?..

თეთრმა სახლმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დონალდ ტრამპმა ასანჟს შეწყალების სანაცლოდ გარიგება შესთავაზა.

„პრეზიდენტი არც კი იცნობს დანა რორაბაკერს. პრეზიდენტმა მხოლოდ ის იცის, რომ რორაბაკერი ყოფილი კონგრესმენია. ტრამპს არასოდეს უსაუბრია მასთან ამ თემაზე, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა თემაზე. **Guardian**-ის ეს პუბლიკაცია სრული ფაბრიკაციაა და ტყუილი. სავარაუდოდ, ეს მორიგი ფალსიფიკაციაა დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტიოს მხრიდან“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტის პრესმდივანმა სტეფანი გრიშემმა.

მანამდე **Guardian**-მა დაწერა, რომ დონალდ ტრამპმა ჯულიან ასანჟს შეწყალება შესთავაზა, თუ ის იტყოდა, რომ რუსეთს კავშირი არ ჰქონდა.

ბრიტანული გამოცემის ცნობით, ამის შესახებ

ასანჟის ადვოკატმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, სადაც მისი ექსტრადირების საკითხის ტექნიკური მოსმენა გაიმართა. ადვოკატმა სასამართლოს მტკიცებულებაზე მიუთითა, რომლის თანახმად, ყოფილი რესპუბლიკელი კონგრესმენი დანა რორაბახერი 2017 წლის აგვისტოს ასანჟს შეხვდა, როდესაც ის ჯერ კიდევ ეკვადორის საელჩოში იმყოფებოდა. შეხვედრის დროს მან ასანჟს განუცხადა, რომ პრეზიდენტი ტრამპის დავალებით მოქმედებდა და შეწყალებას სთავაზობდა ან რამე სხვა გამოსავალს, თუ ასანჟი იტყოდა, რომ რუსეთს კავშირი არ ჰქონდა „დემოკრატიული პარტიის“ ელექტრონული წერილების გამოქვეყნებასთან.

ᲝᲰ, ᲔᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ!

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲘ

ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠ ტელეფონებთან დაკავშირებით ბევრს ლაპარაკობენ, თითქოს ისინი კიბოთი, შაკიკით, უძილობითა და დეპრესიით დაავადების დიდი საფრთხის შემცველები არიან. მეცნიერებმა შეძლეს კავშირის დადგენა ელექტრომაგნიტური ველის მაღალი დონის მაჩვენებელ რაიონებში კიბოთი დაავადებულთა სტატისტიკასთან. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტომაც რადიოსიხშირეების ველები შესაძლო კანცეროგენთა რიცხვს მიაკუთვნა.

მაინც, როგორ უნდა გამოვიყენოთ მობილური ტელეფონები ისე, რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხე მინიმუმამდე შევამციროთ? ამისთვის საჭიროა რამდენიმე წესის დაცვა, კერძოდ:

1. ტელეფონით ნუ ისაუბრებთ ორ წუთზე მეტს;

2. ზარებს შორის შუალედი არანაკლებ 15 წუთისა უნდა იყოს;

3. მობილური ტელეფონი ქვედა ნაწილით, ყურიდან ოდნავი მოშორებით ვერტიკალურად უნდა გეჭიროთ: თუკი ყურმილს თავიდან თუნდაც ერთი სანტიმეტრით მოიცილებთ, გამოსხივების სიმძლავრე ოთხჯერ მაინც შემცირდება;

4. ისარგებლეთ ყურთასამენებით ან ხმამაღალი კავშირით;

5. ტელეფონი ყურთან მხოლოდ მას შემდეგ მიიტანეთ, როცა აბონენტი გიპასუხებთ. საქმე ისაა, რომ გამოძახების დროს ტელეფონი სიმძლავრის მაქსიმუმზე მუშაობს, თუმცა შეერთებიდან 10-20 წამში გამოსხივება იკლებს;

6. შეუზღუდეთ ბავშვს ტელეფონთან თამაშის დრო;

7. მობილური ტელეფონით საუბრისას მოიხსენით ლითონის ჩარჩოიანი სათვალე, რადგან მას ველის ინტენსივობის მატების გამოწვევა შეუძლია;

8. ძილის დროს მობილურ ტელეფონს გვერდით ნუ დაიდებთ. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ ძლიერი ელექტრომაგნიტური ველის შექმნა დამტენ მოწყობილობასაც შეუძლია;

9. ნუ ჩაიდებთ ტელეფონს შარვლის ან გულის ჯიბეში, ნუ დაიმაგრებთ წელზე. განსაკუთრებით საშიშია მობილური სხეულთან ახლოს, ან მეტროთი მგზავრობის დროს — იქ ფიჭური კავშირი არამდგრადია, ამდენად, ქსელის ძიებაში ტელეფონის ელექტრომაგნიტური გამოსხივება ჩვეულებრივზე მეტია.

* * *

ᲖᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ყველა რეკომენდაცია მეტად მნიშვნელოვანია, ამიტომ, დაბეჯითებით გთხოვთ, ნუ უგულებელყოფთ მათ! გარდა ამისა, გირჩევთ, ყურადღება მიაქციოთ, არის თუ არა თქვენი სახლის მხალობლად ბოძებზე დამონტაჟებული ფიჭური კავშირგაბმულობის მოწყობილობები: ხშირად სწორედ ისინი წარმოადგენენ მთავარ საფრთხეს, ამიტომ, თუკი თქვენი საცხოვრისის მახლობლად გაჩნდა ასეთი დანადგარი, შეამოწმებინეთ, თუ რამდენად უსაფრთხოა ელექტრომაგნიტური ველების დონე თქვენს ბინაში.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ 30 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ?

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 3328 წლისთვის ტროპიკული და კალენდარული წლებს შორის განსხვავება ერთ ზედმეტ დღემდე ავა და ეს წელი „სუპერნაკიანი“ გახდება.

დიდი ხნის წინათ შემოღებული წესის შესაბამისად, „დაზარალდება“ ისევ თებერვალი, რომელიც კიდევ ერთი დღე-ღამით გახანგრძლივდება და 30 დღით განისაზღვრება.

არადა, პლანეტა ურანისა და ინფრაწითელი გამოსხივების აღმომჩენი ასტრონომის **უილიამ გერშელის** გაანგარიშებების თანახმად, საქმე, სულაც, პირიქითაა: გრიგორიანული კალენდრის შემოღების შემდეგ, ყოველი 4 ათასი წლის შემდეგ საჭირო იქნება „ანტინაკიანი“ წლის შემოღება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **5582 წელს თებერვალში მხოლოდ 27 დღე უნდა იყოს.**

დღევანდლამდე, 30 თებერვალი მხოლოდ ისტორიულ კურიოზად რჩება. არადა, ამ დღის შემოღებას ჯერ კიდევ სსრ კავშირში აპირებდნენ, როცა საბჭოურ რევოლუციურ კალენდარს ამუშავებდნენ — მასში ხუთდღიანი კვირები და ექვს-ექვსი ხუთდღიანიდან შემდგარი თანატოლი თვეები უნდა ყოფილიყო.

თუმცა, როგორც ჩანს, ბოლოს ვიღაცას მაინც ეყო გონება, რომ ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე ხელი აეღო.

ᲓᲦᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲘᲡᲐ და ინსულტის საფრთხეს დღის ძილი ამცირებს.

ახალი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ პაციენტებს, ვინც დღის განმავლობაში „წყნარ საათს“ რეგულარულად იწყობდა, ინფარქტის რისკი თითქმის უნახევრდებოდათ. ამასთანავე, თერაპიული ეფექტიანობა დღის მანძილზე დასვენების ხანგრძლივობაზე არ იყო დამოკიდებული: დადებითი ეფექტი იმათაც კი აღენიშნებოდათ, ვინც სულ 10-15 წუთს ისვენებდა.

ᲞᲔᲓᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲘᲜᲓᲝᲑᲔᲜ!

ᲛᲐᲡ შემდეგ, რაც რუსეთის ქალაქ უფაში მამაკაცმა პედოფილი მოკლა და ამით ორ მოზარდს საფრთხე ააცილა, აღმოჩნდა, რომ ის არაკაცი ადრეც არაერთხელ ყოფილა ნასამართლევი ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის.

ამასთან დაკავშირებით, სოციალური ქსელები „დუღს და გადადუღს“ აუარებელ კომენტარით, რომელთა საერთო არსი ძალიან მოკლედ შეიძლება ჩამოყალიბდეს: **საზოგადოებრივ ჰუმანიზმს და პედოფილ არაკაცთათვის თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობას ერთმანეთთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს!**

ამის მაგალითები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში სავსებით თვალნათლივია: მაგალითად, **ნიგერიასა** და **პაკისტანში** პედოფილებს სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ, **ჩინეთში** — 10 წლით თავისუფლების აღკვეთიდან სიკვდილით დასჯამდე; **ირანში, სამხრეთ კორეასა** და **კუბაში** მათ მიმართ ასევე სასჯელის უმაღლესი ზომაა გათვალისწინებული; **იემენში** პედოფილებს სიკვდილით საჯაროდ სჯიან, **ნიგერიასა** და საერთოდ, **სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის** ადგილობრივ მოსახლეობაში მიღებულია პედოფილთა ადგილზევე, ხალხის მიერ გასამართლება — მოძალადეებს ცოცხლად წვავენ.

სამაგიეროდ, **ნორვეგიაში** პედოფილია სნეულებადაა მიჩნეული, თუმცა დაავადებულებს ზოგჯერ რამდენიმე თვით ან რამდენიმე წლით უსჯიან თავისუფლების აღკვეთას, თანაც ეს ვადები ხშირად პირობითია.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ უმეტეს შტატში პედოფილიისთვის თავისუფლების აღკვეთაა დადგენილი, რეციდივის შემთხვევაში კი — ქიმიური წესით დაკოდვა.

საფრანგეთში, ბელგიასა და **დანიაში** ასევე გათვალისწინებულია სასამართლოს დადგენილების საფუძველზე იძულებითი ქიმიური კასტრაცია. **პოლონეთში** კი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა და, ისევე, როგორც **დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა** და **ისრაელში** მოძალადე-რეციდივისტების მიმართ, პრაქტიკაშია ქიმიური მეთოდით დასაჭურისებელი.

მაგრამ იქ უფრო ხშირად ეს პროცედურა თავად ბრალდებულის თანხმობით ხორციელდება, რადგან ქიმიურ დაკოდვას მრავალი უკუჩვენება აქვს, რომელთა შედეგად შესაძლოა, სასჯელმისჯილს ჯანმრთელობისა და ფსიქიკის სერიოზული პრობლემები წარმოეშვას.

ჩვენ მხრივ კი აუცილებლად მიგვაჩნია აქვე დავამატოთ, რომ ასეთი საზარელი დანაშაულის ჩამდენის ნორმალურ ფსიქიკაზე ლაპარაკი შესაძლებელი კია?!

ᲨᲔᲣᲑᲠᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲰᲔᲠᲪᲝ�გᲘᲜᲘᲐ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘᲡ დედოფლის ელისაბედ II-ის უფროსი შვილიშვილის უილიამის ცოლი ქეითი და დედამისი ქეროლი უელსის უფლისწულ ჩარლზის უფროს ვაჟიშვილს ჯორჯს არ აკარებენ.

„ისინი შვილიშვილს არ მანახებენ, ქეროლმა თავის მიზანს მიაღწია — ის მთლიანად აკონტროლებს ჯორჯის დღის განაწესს და ისე იქცევა, თითქოს დედოფალი იყოს“, — განუცხადა უელსის უფლისწულმა ჩარლზმა ჟურნალისტებს.

ბრიტანული პრესა კემბრიჯის ჰერცოგინია ქეითთ მიდლტონის მიერ თავისი ერთგული ასისტენტის, 32 წლის სოფი აგნიუს დათხოვნის ამბავსაც აქტიურად ეხმაურება. სოფი აგნიუსმაც შოტლანდიაში იგივე სასწავლებელი დაამთავრა, რაც ქეითმა და უილიმმა — სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტი და შვიდი წელი ერთგულად ემსახურა ჰერცოგინიას, ხოლო როცა თაფლობის თვესთან დაკავშირებით შვებულება აიღო, ქეითმა ის გაუფრთხილებლად დაითხოვა...

ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲗᲐᲗᲛᲐᲜᲘ

ᲛᲔᲓᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ შექმნეს ისეთი ხელთათმანი, რომელიც პარკინსონის დაავადების დროს ხელების კანკალს აჩერებს.

ამ სენის დროს მოტორიკის დარღვევა ნეირონების მასობრივი დაღუპვის შედეგად წარმოიშვება. საგანგებო მიგნებების შედეგად, ახალი ხელთათმანი ხელის თითების უნებლიე რხევების კომპენსირებას ახდენს და ტრემორის ინტენსივობას 80 პროცენტით ამცირებს. უახლოეს მომავალში ხელთათმანის გამოშვება სერიულად დაიწყება.

◎ რაგბი

ხვალ ქუთაისში

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ხვალ რაგბი ევროპის მესამე ტურის მატჩს გამართავს. „ბორჯღალოსნები“ ბელგიას უმასპინძლებენ. თამაში ქუთაისში, „აია არენაზე“ 15 საათზე დაიწყება.

ლევან მაისაშვილის გუნდი აღნიშნული შეხვედრისთვის ორშაბათიდან „შევარდენის“ ბაზაზე 29-კაციანი შემადგენლობით ემზადება. ბელგიის ნაკრებმა განვლილი ტურის შეხვედრაში რუსეთი 38:12 დაამარცხა, საქართველომ კი ესპანეთს 23:10 მოუგო.

კოგა კოგანიძე

◎ ფეხბურთი

ამბიციური ახალბედა

„ატალანტა“ არაფრით გამორჩეული რიგითი იტალიური კლუბია, ყოველ შემთხვევაში, ასეთად ვიცნობდით წინა სეზონამდე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯამპიერო გასპერინის გაწვრთნილმა გუნდმა „სერია-ა“-ში გაიბრწყინა და ჩემპიონთა ლიგაში თამაში დაიმსახურა, მყისვე საფეხბურთო ევროპამ დააფასა.

მოგეხსენებათ, ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის დებიუტანტი ბერგამოს წარმოადგენს, ეს ქალაქი კი კარლო გორდონის 1749 წელს დაწერილი პიესის „ორი ბატონის მსახური“ მიხედვით შექმნილი პოპულარული საბჭოთა მიუზიკლით „ტრუფალდინო ბერგამოდან“ გახდა უკვდავი. ეს რაც შეეხება ისტორიასა და ხელოვნებას, სპორტული თვალსაზრისით კი იქაურ მუნიციპალიტეტს სატრაბახო ბევრი არაფერი აქვს და „ატალანტა“ იძულებულია საშინაო მატჩები მილანის „ჯუზეპე მეაცას“ (ყოფილი „სან სირო“) სტადიონზე ჩაატაროს.

ჰო, მართლა, კინაღამ დაგვავიწყდა იმ ფაქტის აღნიშვნა, რამაც აპენინელებს განსაკუთრებული პატივისცემა მოუტანა. საუბარია ჯგუფური რაუნდის სამი სასტარტო შეხვედრის წაგების შემდეგ პლეი-ოფის საგზურის სასწაულებრივ მოპოვებაზე, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა.

თურმე, ჯერ სადა ვართ — ეს არწივი ტურნირის განახლებისთანავე კიდ;ევ უფრო მაღლა აფრინდა და ორგზის ფინალისტი „ვალენსია“ პირწმინდად დასცა — 4:1. ასე რომ, მეოთხედფინალის კონტურები პირველი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ საფუძვლიანად გამოიკვეთა, მერე კი რა მოხდება, მალევე შევიტყობთ.

არანაკლებ დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა მორიგი ეტაპისკენ რჩეულთა საზოგადოების კიდევ ერთმა ახალბედამ „ლაიფციგმა“, რომელმაც ინგლისში ტრავმირებული კეინისა და სონის გარეშე მოასპარეზე „ტოტენჰემი“ დააჩოქა — 1:0 (გოლი პენალტით **ვერნერმა** გაიტანა).

გიორგი შოთაძე

◎ რინგი

მასვიდალი მზადაა

ხორხე მასვიდალი, რომელიც ამჟამად ნახევრად საშუალო (welterweight) წონაში ასპარეზობს, მსუბუქ წონით დივიზიონში (lightweight) 2015 წლიდან არ გამოჩენილა. ბოლოს „ყველაზე ცუდი ბიჭის“ ქამრის მფლობელი მსუბუქ წონაში მერაბ დვალიშვილის გუნდელ ალ იაკუინტასთან დამარცხდა.

ხორხე აცხადებს, რომ მზადაა ბრძოლა გამართოს მსუბუქი წონის დაუმარცხებელ ჩემპიონ ხაბიბ ნურმაგომედოვთან იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტში მას შესაფერის თანხას შესთავაზებენ.

მას შემდეგ, რაც ხორხე ნახევრად საშუალო წონაში აღზევდა, წარმოშობით კუბელმა ამერიკელმა დარენ ტილი, ბენ ასკრენი და ნეით დიაზი დაამარცხა. მასვიდალი ასევე განიხილება **კამარუ უსმანის** მომდევნო მეტოქედ.

„იმ შემთხვევაში, თუ UFC ოპტიმალურ თანხას დაასახელებს, მზად ვარ წონა დავიგდო და ხაბიბს შევებრძოლო. ამისათვის დიდი ძალისხმევა დამჭირდება და, აქედან გამომდინარე, მოვითხოვ შესაბამის ანაზღაურებას.“ — განაცხადა ხორხემ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ პატივი

თბილისი უმასპინძლებს

საქართველოს პარაძიუდოსა და ძიუდოს ფედერაციების, ასევე უსინათლო სპორტსმენთა საერთაშორისო ფედერაციის ორგანიზებით ხვალ და ზეგ თბილისი პირველად უმასპინძლებს მსოფლიო თასს უსინათლო ძიუდოისტთა შორის.

ძიუდოს აკადემიაში 15 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მამაკაცთა ნაკრებიც იასპარეზებს. მედლები შვიდ წონით კატეგორიაში გათამაშდება. IBSA-ს მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობას პარალიმპური ჩემპიონი **ზვიად გოგოჭური** მიიღებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კრიმინალი

„პსჟ“-ს პრეზიდენტს ბრალი წაუყენეს

შვეიცარიის გენერალურმა პროკურატურამ „პარი სენ-ჟერმენის“ პრეზიდენტს ნასერ ალ-ხელაიფისა და ფიფა-ს ყოფილ გენერალურ მდივანს ჟერომ ვალიკეს ბრალი წაუყენა.

საქმე ეხება მსოფლიო ჩემპიონატებისა და კონფედერაციის თასების მატჩების ტელეტრანსლაციების უფლებების გადაცემას სხვადასხვა მედიასაშუალებაზე.

შვეიცარიის გენერალური პროკურატურის (OAG) ვებ-გვერდი იუწყება, რომ ნასერ ალ-ხელაიფი და ჟერომ ვალიკე ტრანსლაციების უფლებების გადაცემაზე კორუფციულ გარიგებებში შედიოდნენ.

ბადრი იაშვილი

◎ ოლიმპიზმი

თბილი ზამთრის პრობლემები

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების უმთავრეს გამოწვევად სიცხესთან გასამკლავებელი თოვლის გასაფრქვევი სპეციალური მანქანების გამოყენება იგეგმებოდა, მაგრამ უჩვეულოდ თბილი ზამთრის გამო მისი დამზადება საეჭვო გახდა.

ქუჩაში მოწყობილ სპორტულ ობიექტებზე გამაგრილებელი სისტემების მუშაობისთვის დაახლოებით 100 ათასი ტონა ბუნებრივი თოვლია საჭირო. მის მომარაგებას ზამთარში გეგმავდა ტოკიო-2020-ის საორგანიზაციო კომიტეტი, მაგრამ უჩვეულოდ თბილი ზამთრის გამო შემუშავებული გეგმა ჩავარდნის პირას აღმოჩნდა.

აპარატები, რომლებიც ხელოვნურ თოვლს ქმნიან, ზაფხულში ტოკიოში ჩატარებულ სატესტო შეჯიბრებათა დროს გამოიყენებოდა და საკმაოდ ეფექტურადაც.

თოვლის შესანახად სპეციალური საცავები მომზადდა, თითოეულ გუშემატკივარს კი თამაშების დღეებში შეეძლებოდა საკუთარი წილი თოვლის პაკეტი მიეღო, რაც გაუსაძლის სიცხეში ყოფნას უფრო კომფორტულს გახდიდა.

ოლიმპიური თამაშებისას სიცხესთან ბრძოლის სხვა საშუალებებს შორის ასევე განიხილება მომსახურე პერსონალის სამუშაო ცვლის შემცირება, ტენის გამაფრქვეველი საშუალებების გამოყენება და კონდიცირებული კარვების მოწყობა.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიური თამაშების პერიოდში ცხელი ამინდების გამო რიგ ასპარეზობათა დაწყება დილაუთენია და გვიან ღამით გადაიტანეს, ხოლო მარათონელთა გარბენი და სპორტული სიარული საპოროში გაიმართება, სადაც დედაქალაქთან შედარებით 5-6 გრადუსით ნაკლები ტემპერატურაა.

ბეჭან დოლიძე

◎ კალათბურთი

სტეფ კარიმ ვარჯიში განაახლა

„გოლდენ სტეიტისთვის“ 2019-20 წლების რეგულარული სეზონი დიდი ხანია დასრულებულია, რადგან გუნდი დასავლეთ კონფერენციაში 12 მოგებითა და 43 წაგებით მისთვის უჩვეულო ბოლო ადგილზეა.

„მეომართა“ ლიდერი სტეფ კარი ხელის მოტეხილობას უკვე რამდენიმე თვეა მკურნალობს, თუმცა, „ვორიორზში“ იმედოვნებენ, რომ იგი მოედანს მიმდინარე წლის მაისში მაინც დაუბრუნდება. „გოლდენ სტეიტის“ მთავარი მწვრთნელი სტივ კერი აცხადებს, რომ კარი გუნდთან ერთად სან ფრანცისკოში იმყოფება და მსუბუქად ვარჯიშობს.

ვიტალი ჯაფარიძე

სუფრავ გაშლილო, ღხინი ხარ!..

ქართულ მრავალხმიანობასა და სუფრას – ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია

ARAMATERIALURI კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს „ქართულ მრავალხმიანობასა“ და „ქართული ტრადიციული სუფრის/პურობის კულტურას (ქართული სუფრა)“ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს უნიკალური ქართული კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციას, მათ შენარჩუნებასა და მომავალი თაობისთვის გადაცემას. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

„ქართული მრავალხმიანობა“, რომელიც 2001 წელს იუნესკო-მ (UNESCO) კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრად აღიარა, ქართველი ხალხის ტრადიციული მუსიკალური კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო. იგი წარმართული ეპოქისთვის დამახასიათებელი სინკრეტული ფორმებით გამოხატავდა თავიდან ქართველური ტომების, შემდეგ კი ქართველი ერის მსოფლშეგრძნებას, სამყაროს ხედვის თავისებურებებსა და წარმოდგენებს.

ქრისტიანულ ეპოქაში იგი განაგრძობდა სიცოცხლეს როგორც საერო ყოფის, ისე სასულიერო ღვთისმსახურების განუყოფელი ნაწილი და ხალხურ წარმოდგენებთან ერთად ქართველი ერის ქრისტიანულ მსოფლმხედველობას გამოხატავდა.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები ქართულ ტრადიციულ საერო და სასულიერო მრავალხმიანობაშიც აისახა.

საქართველოს ზოგიერთ სოფელში პირვანდელი სახით შემორჩენილი საერო მრავალხმიანობა, უმეტესწილად სასცენო-საშემსრულებლო სახით არსებობს. თავისი მაღალი მხატვრული ღირებულების გამო, ამჟამად მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას ასრულებს და ქართველების ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს“, – ნათქვამია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციაში.

უწყებაში ასევე აღნიშნავენ, რომ ქართული მრავალხმიანობა 2008 წელს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციასთან საქართველოს შეერთების შემდეგ, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეიტანეს. მათივე ცნობით, „ქართულ მრავალხმიანობას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2014 წელს მიენიჭა.

„რაც შეეხება „ქართული ტრადიციული სუფრის/პურობის კულტურას (ქართული სუფრა)“, ის გავრცელებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში მცხოვრებ ოჯახებში. სუფრის კულტურა, რელიგიური და ეროვნული განსხვავების მიუხედავად, ასევე გავრცელებულია საქართველოს ყველა თემში.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ქართული ტრადიციული სუფრის/პურობის კულტურას (ქართული სუფრა)“ წარმოშობის თარიღის განსაზღვრა რთულია. 2006 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკება ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნეს მიეკუთვნება. მინიატიურული ზომების მიუხედავად, მა-

კაცის ქანდაკება ყანწით ხელში თანამედროვე თამადის ისტორიულ წინაპრად არის მიჩნეული.

ქართული სუფრის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ასევე იძლევა ადრეული, შუა და გვიანი პერიოდის წერილობითი წყაროები, როგორიცაა: „შუშანიკის წამება“, „ვეფხისტყაოსანი“, „ქართლის ცხოვრება“, „ხელმწიფის კარის გარიგება“, „დასტურლამალი“, იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“, „კალმასობა“. აქვე უნდა აღინიშნოს XV-XIX სს. მოგზაურთა ამბროზიო კონტარინის, დიონიჯი კარლის, ჟან შარდენის ჩანაწერები და სხვა მასალები.

„ქართული ტრადიციული სუფრის/პურობის კულტურას (ქართული სუფრა)“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2017 წელს მიენიჭა“, – ნათქვამია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„დანაშაულის ჩადენიდან საზოგადოებაში დაბრუნებამდე“

თბილისში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისადმი მიძღვნილი კონფერენცია „დანაშაულის ჩადენიდან საზოგადოებაში დაბრუნებამდე“ იმართება. ღონისძიების გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა ვიცეპრემიერმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მიიღო.

იუსტიციის მინისტრის თქმით, კონფერენციის თემა – თუ რა საფეხურები უნდა გაიაროს კანონთან კონფლიქტში მყოფმა პირმა დანაშაულის ჩადენიდან საზოგადოებაში დაბრუნებამდე, ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ მასზეა დამოკიდებული, როგორ მოახერხებს ადამიანი საზოგადოებაში რესოციალიზაციას, რამდენად სწორად გაივლის რეაბილიტაციის პროცესს და, შესაბამისად, რამდენად იქნება საზოგადოება დაცული მისი მხრიდან განმეორებითი დანაშაულის ჩადენისგან.

„სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკის უპირველესი მიზანი სწორედ ბალანსის უზრუნველყოფაა ადამიანის უფლებათა დაცვასა და საზოგადოების უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას შორის“, – განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა ყურადღება გაამახვილა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარებისთვის მიმდინარე რეფორმებზე, რათა მსჯავრდებულებს, ყოფილმსჯავრდებულებსა და სისტემის სხვა ბენეფიციარებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, უკეთესი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პირობები შეექმნათ, რაც დანაშაულის რეციდივის შემცირებისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

სანთელი



ვალერი ჭანტურია, რამინ გოგოხია ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის, გულმხურვალე მამულიშვილის

გიორგი შენგელაიას

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ძმას, ბატონ ელდარ შენგელაიას.

უკრაინაში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

უკრაინაში 27 წლის საქართველოს მოქალაქე მოკლეს, – ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. შემთხვევა 17 თებერვალს გვიან ღამით, სუმოს ოლქის ქალაქ შოსტკაში მოხდა.

როგორც ცნობილია, შელაპარაკება ერთ-ერთ კაფეში დაიწყო და შემდგომ ქუჩაში გადაინაცვლა. 25 წლის მამაკაცმა საქართველოს მოქალაქე ცივი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრა. ამასთანავე, შემთხვევის დროს დაშავდა კიდევ ერთი პირი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დამნაშავე ადგილიდან მიიმალა, თუმცა მოგვიანებით ის პოლიციამ დააკავა.

გარდაცვალა კომპიუტერული მეცნიერების თავკაცი

კომპიუტერული მეცნიერების ერთ-ერთი პიონერი ლარი ტესლერი 74 წლისა გარდაიცვალა.

სწორედ მან მოიგონა ცნობილი ფუნქციები „ამოჭრა“, „კოპირება“ და „ჩასმა“ და კლავიშების Ctrl X, სეკდ ს და Ctrl V-ს გამოყენებით პერსონალური კომპიუტერების გამოყენება ყველასთვის უფრო გაამარტივა.

ლარი ტესლერმა აშშ-ის სილიკონის ველში მუშაობა 1960-იან წლებში დაიწყო. ის Apple-ის, Xerox-ის, Amazon-ის და Yahoo-ს თანამშრომელი იყო.

მასშტაბური ავტოკატასტროფა კანადაში

კანადის ქალაქ მონრეალის შემოგარენში მასშტაბურ ავტოკატასტროფაში 200-მდე მანქანა მოჰყვა. ადგილობრივი მედიის ცნობით, გარდაცვლილია ორი და დაშავებულია 70 ადამიანი.

მასშტაბური ავარია ერთ-ერთ მაგისტრალზე მოხდა. საგზაო შემთხვევის მიზეზი ქარბუქით გამოწვეული ცუდი ხილვადობა გახდა. პოლიციის ცნობით, ორი დაშავებული კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. ავარიის ადგილიდან 150-მდე ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

ავარიაში მოყოლილ მანქანებს შორის 10-ზე მეტი სატვირთო, ბენზინმზიდი, ასევე სასკოლო ავტობუსია. ადგილზე ათობით სამაშველო და სამედიცინო სამსახურის ბრიგადა იმყოფებოდა. შემთხვევის გამო მოძრაობა მაგისტრალზე ორივე მიმართულებით დაიკეტა.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით

ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირისა და გამგეობის წევრები მამია, ზურაბი, თემური, ლავრენტი, გულნაზი, ავთანდილი, კახა, ირაკლი, იოსები, თენგიზი, ბესიკი, ბათუ, სანდრო, გოგიტა, ზურაბი, დათო, რამინი, ზაალი, პავლე, კახა, გიორგი, რეზო, ქართლოსი, სოსო, მურმანი, გურამი, გიორგი, მალხაზი დიდი სიყვარულით და პატივისცემით საიუბილეო თარიღს — დაბადებიდან 75 წლისთავს ვუ-ლოცავთ დამსახურებულ მამულიშვილს, სიკეთისა და სიყვარულის მატარებელ, ჭირში და ლხინში გვერდით მდგომ, გვარში გამორჩეულ პიროვნებას, სასიქადულო მეცნიერსა და პედაგოგს, მზრუნველ მამასა და ბაბუას, პროფესორ

ოთარ ჭუმბურიძეს

და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ქვეყნისა და ერის კეთილდღეობისათვის სამოღვაწეოდ.

ვიდეოტრანსლაცია არწივების ბუდიდან

ათასობით ადამიანი უკვე რამდენიმე დღეა, პირდაპირ ეთერში ელოდება, თუ როდის გამოიჩეკებიან კალიფორნიის ერთ-ერთ ნაკრძალში არწივის მართვეები. ვიდეოკამერა არწივის ბუდესთან არის დამონტაჟებული და კადრებს პირდაპირ ეთერში გადასცემს.

აშშ-ის სატყეო სამსახურის ცნობით, კალიფორნიის შტატის სან-ბერნანდინოს ოლქის დიდი დათვის ტბის ეროვნულ ნაკრძალში არწივების ბუდეში ორი კვერცხია. სამსახურის განცხადებით, მშობელი არწივები სახელად ჯეკი და შედოუ კვერცხების გამოჩეკას უკვე ნებისმიერ წუთს ელოდებიან.

არწივების ბუდიდან 24-საათიან პირდაპირ ვიდეოტრანსლაციას ორგანიზაცია „დიდი დათვის ველის მეგობრები“ უზრუნველყოფს. ბუდიდან პირდაპირ ტრანსლაციებს საკუთარ ვებგვერდებზე ამერიკული ტელეკომპანიებიც უდგანან მხარში, მათ შორის „ეი-ბი-სი ნიუსი“.

ჯუჯა ცხენი - თვითმფრინავში

ჯუჯა ცხენმა პირველი კლასის ავიარეისით იფრინა. ფრედი სპეციალურად მისმა მასწავლებელმა რონია ფროესემ გაწვრთნა იმისთვის, რომ ცხენი თვითმფრინავის ბორტზე გაჩერებულიყო. ისინი მიჩიგანიდან მიფრინავდნენ. ფრედი სუპერგმირის კოსტიუმში იყო გამოწყობილი და საგზაო ჩანთა სხეულზე ჰქონდა მიმაგრებული.

ცხენი და მისი პატრონი გრანდ რაპიდიდან ტეხასისკენ გაფრინდნენ, საიდანაც ისინი ჩარტერული რეისით კალიფორნიაში გაემგზავრნენ. სხვა ადამიანებიც ცდილობდნენ, რომ ბორტზე ფარშევანგი ან ზაზუნა აეყვანათ, თუმცა მათ რონიას მსგავსად არ გაუმართლათ. რონია ფროესემ აღნიშნა, რომ პერსონალი ძალიან ბედნიერი იყო ფრედის ბორტზე დანახვით. მისივე თქმით, ფრედმა პირველი კლასით მგზავრობა დაიმსახურა.

ფეისბუქ-პოსტში ფროესემ მადლობა გადაუხადა პილოტებსა და ეკიპაჟის ყველა წევრს დახმარებისა და ყურადღებისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფრედს საკუთარი ფეისბუქ-გვერდი აქვს. ფრენის დროს ფრედს ყველა სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ მან შეძლო და დაამტკიცა, რომ ისინი ცდებოდნენ. ცხენმა მგზავრებისთვის ფრენა გასართობ მოგზაურობად გადააქცია.

„გურული დღიურების“ ფონდის ახალი სტიპენდიანტი

ამჯერად ფონდმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ აძვის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე შეარჩია. ნიჭიერ, კითხვის მოყვარულ ლია ვარდანაშვილს თვეში 100 ლარის ოდენობის სტიპენდია დაენიშნა.

ამის დამადასტურებელი სიგელი მას ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის შვილმა ირინა გაფრინდაშვილმა გადასცა. მისი პირადი ბიბლიოთეკისთვის კი ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ 50 წიგნი ჩამოიტანა. ახლო მომავალში იგეგმება სკოლის საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაც.

მეგობრობა თაობიდან თაობამდე

აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს, „ჰეიდარ ალიევის ცენტრისა“ და აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის თანამონაწილეობით ბაქოში გამოფენა, სახელწოდებით „საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობა თაობიდან თაობამდე“ გაიმართა. ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო 120 მხატვრის 150-მდე ნამუშევარი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. გამოფენა ასახავდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას თაობიდან თაობამდე, ორივე ქვეყნის კულტურას, ბუნებასა და ტრადიციებს.

გამოფენაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს ელჩმა ზურაბ პატარაძემ მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანელ მხატვრებს, რომლებმაც ფერწერულ ტილოებზე გულწრფელად ასახეს საკუთარი ემოციები და შთაბეჭდილებები საქართველოზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბაქოს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები, დიპლომატიური კორპუსისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8422; ევრო - 3.0701;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6914;
100 რუბლი - 4.4678; თურქული ლირა - 0.4692;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6761;
1000 სომხური დრამი - 5.9373.

ამინდი 21 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge